

# eMoney ანგარიშის მომსახურების პირობები

ვერსია 2.0

06.04.2016

## 1. eMoney

1.1 eMoney ანგარიში მოგეწოდებათ და მას ოპერირებას უწევს შპს "იმანი" (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი კომპანია, რომლის საიდენტიფიკაციო ნომერია 204557540, იურიდიული მისამართი ჭავჭავაძის გამზ. #74, თბილისი 0162, საქართველო) და სს „იმანი ჯორჯია“ (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი კომპანია, რომლის საიდენტიფიკაციო ნომერია 202376026, იურიდიული მისამართი ჭავჭავაძის გამზ. #74, თბილისი 0162, საქართველო) (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული როგორც „eMoney“).

1.2 eMoney ანგარიში წარმოადგენს ელექტრონულ საფულეს და გადახდის ინსტრუმენტს და იგი მოქმედებს (i) ბანკის საკუთრებაში არსებულ და მის მიერ ოპერირებად Pay.ge გადახდების არხებთან (შემდგომში "PAY Gateway") და (ii) სხვა საგადახდო სისტემებთან ან არხებთან ერთად.

## 2. წინამდებარე პირობების საგანი

2.1. წინამდებარე პირობებით რეგულირდება eMoney ანგარიშის გახსნის, გამოყენების და დახურვის პირობები. წინამდებარე პირობები კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების პირობებთან ერთად არეგულირებენ სამართლებრივ ურთიერთობებს თქვენსა და ჩვენს შორის. დამატებითი მომსახურებებით სარგებლობისთვის თქვენ შესაძლებელია დაგჭირდეთ ასეთი დამატებითი მომსახურებების მიღების ან გამოყენების დროს მითითებულ სხვა დამატებით პირობებზე თანხმობის გაცხადება. ჩვენ გირჩევთ, რომ ამობეჭდოთ ან ჩამოტვირთოთ და მომავალი სარგებლობისათვის შეინახოთ წინამდებარე პირობების ასლი. თქვენ ყოველთვის გექნებათ შესაძლებლობა აღნიშნული პირობების ბოლო, განახლებული ვერსია იხილოთ ჩვენს ვებ-გვერდზე.

2.2. ჩვენ ასევე გირჩევთ, ჩვენს ვებ-გვერდზე წაიკითხოთ ხშირად დასმული კითხვები და შესაბამისი პასუხები.

2.3. იმის გათვალისწინებით, თუ ანგარიშის როგორ სახეობას ფლობთ, შესაძლებელია თქვენზე გავრცელდეს დამატებითი პირობები, რის შესახებაც გეცნობებათ ჩვენს მიერ შესაბამისი პერიოდულობით.

## 3. თქვენი eMoney ანგარიში

3.1. თქვენი eMoney ანგარიში წარმოადგენს ელექტრონულ საფულეს (ელექტრონული ფული), რომელიც საშუალებას გაძლევთ გააფზავნოთ და მიიღოთ ელექტრონული გადახდები.

3.2. თქვენს ანგარიშზე არსებული ელექტრონული ფული გამოცემულია ამ პერიოდისთვის მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3.3. თქვენი eMoney ანგარიში, თქვენი არჩევანის შესაბამისად შესაძლებელია მოიცავდეს ქვეანგარიშებს ლარში, აშშ დოლარში და ევროში ან/და სხვა ვალუტებში, რომლებსაც eMoney დრო და დრო გახდის თქვენთვის ხელმისაწვდომს. თქვენ უფლება გაქვთ, უფასოდ გახსნათ ასეთი ქვეანგარიშები ერთ ან მეტ ვალუტაში (ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე).

3.4. თქვენ უფლება გაქვთ განახორციელოთ გადახდები მხოლოდ იმ ვალუტაში, რომელშიც დენომინირებულია შესაბამისი ქვეანგარიშები. თუ, შესაბამისი ქვეანგარიშზე არსებული ნაშთი არ არის საკმარისი თქვენთვის სასურველი ტრანსაქციის განსახორციელებლად, თქვენ უფლება გაქვთ კონვერტაცია გაუკეთოთ თქვენს თანხებს სხვა ქვეანგარიშიდან, რა შემთხვევაშიც გამოიყენება აღნიშნული კონვერტაციის პერიოდისთვის განსაზღვრული გადაცვლის კურსი.

3.5. თქვენ უფლება გაქვთ, თქვენი გადაწყვეტილების შესაბამისად, ინტეგრაცია გაუკეთოთ თქვენს eMoney ანგარიშს Pay ანგარიშთან, როგორც ამ უკანასკნელის ქვეანგარიში, რაზეც სრულად გავრცელდება შესაბამისად Pay ანგარიშის მომსახურების პირობები, რომელიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე [www.smartivi.ge](http://www.smartivi.ge), [www.libertybank.ge](http://www.libertybank.ge) ან/და [www.fortuna.emoney.ge](http://www.fortuna.emoney.ge). თქვენს Pay ანგარიშსა და eMoney ანგარიშს შორის თანხების გადარიცხვა უფასოა.

3.6. თქვენს eMoney ანგარიშზე არსებული ელექტრონული ფული უვადოა, მაგრამ მასზე არ ერიცხება საპროცენტო სარგებელი.

3.7. თქვენ უფლება გაქვთ გაანადღოთ თანხები თქვენი eMoney ანგარიშიდან, მაგრამ ამ შემთხვევაში თქვენ ვალდებული იქნებით გაიართოთ თქვენი პიროვნების იდენტიფიცირების პროცესი. თანხის განაღდება შემთხვევაში, თანხის მინიმალური ოდენობის შეზღუდვა არ არსებობს, მაგრამ თქვენს ანგარიშზე რიცხული თანხები საკმარისი უნდა იყოს შესაბამისი განაღდებას საკომისიოს დასაფარად. თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ თანხის განაღდებას მეთოდი თანხის განაღდებას მოთხოვნასთან ერთად.

3.8. ელექტრონული ფულის ანგარიშები არ წარმოადგენენ საბანკო ანგარიშებს. eMoney-ს გადახდისუუნარობის შემთხვევაში, თქვენ შესაძლებელია დაკარგოთ თქვენს ანგარიშზე არსებული ელექტრონული ფული, თუმცა, eMoney მკაცრად იცავს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამართლებრივ მოთხოვნებს, რათა უზრუნველყოს თქვენს ელექტრონული ფულის ანგარიშებზე დეპონირებული თანხების უსაფრთხოება და ლიკვიდურობა.

3.9. eMoney ანგარიშზე არსებული ელექტრონული ფული ეკუთვნის იმ ფიზიკურ პირს, რომელიც ანგარიშის მფლობელად არის რეგისტრირებული. ანგარიშის მფლობელის გარდა, არავის არა აქვს eMoney ანგარიშზე რიცხულ თანხებზე არანაირი უფლება, გარდა მემკვიდრეობასთან დაკავშირებით არსებული შემთხვევისა. თქვენ უფლება არ გაქვთ, გადააკისროთ ან გადასცეთ თქვენი eMoney ანგარიში სხვა მესამე პირს ან სხვაგვარად გადასცეთ ნებისმიერ მესამე პირს ასეთ ანგარიშზე იურიდიული ან სამართლიანი მოთხოვნა (equitable interest).

3.10. თქვენს eMoney ანგარიშზე შესაძლებელია გავრცელდეს თანხების შეტანის და განაღდებას ლიმიტები, თქვენი eMoney ანგარიშის ვერიფიკაციის სტატუსის და თქვენი საცხოვრებელი მისამართიდან და ქვეყნიდან გამომდინარე.

#### 4. ანგარიშის გახსნა

4.1. eMoney-ს საგადახდო სისტემით სარგებლობისთვის თქვენ პირველ რიგში ვალდებული ხართ ჩვენს ვებ-გვერდზე თქვენი პირადი მონაცემების რეგისტრაციის საფუძველზე გახსნათ eMoney ანგარიში. რეგისტრაციის პროცესში თქვენ ვალდებული ხართ დაეთანხმოთ წინამდებარე პირობებს და ჩვენს კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების პირობებს. თქვენს მიერ დამატებითი მომსახურებებით სარგებლობისთვის განაცხადის გაკეთების შემთხვევაში, თქვენ შესაძლებელია დაგჭირდეთ ასეთი დამატებითი მომსახურებების მიღების ან გამოყენების დროს მითითებულ სხვა დამატებით პირობებზე თანხმობის გაცხადება. თქვენ ვალდებული ხართ, რომ ამოებჭდოთ და მომავალი სარგებლობისათვის შეინახოთ წინამდებარე პირობების ასლი. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, თქვენი eMoney ანგარიში შესაძლებელია გაიხსნას ასევე სხვადასხვა ელექტრონული ან/და ფიზიკური არხების საშუალებით, მათ შორის, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს, ბანკომატებს, ჩვენს კონტრაქტორებს ან/და ჩვენს მიერ ანგარიშის გახსნაზე უფლებამოსილ სხვა პირებს ან/და არხებს.

4.2. ჩვენს მიერ შემოთავაზებული მომსახურებებით სარგებლობა შეგიძლიათ თუ თქვენ ხართ 18 ან მეტი წლის და შესაბამისად eMoney ანგარიშის გახსნით თქვენ აცხადებთ და ადასტურებთ, რომ ხართ 18 ან მეტი წლის. აღნიშნული მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პროდუქტებზე, რომელთა სარგებლობისთვის ჩვენს მიერ დაწესებულია განსხვავებული ასაკობრივი შეზღუდვა. ჩვენ უფლება გვაქვს, ნებისმიერ დროს მოვითხოვოთ თქვენს მიერ თქვენი ასაკის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

4.3. თქვენ უფლება გაქვთ გახსნათ მხოლოდ ერთი eMoney ანგარიში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩვენ ღიად დავადასტურებთ თქვენს მიერ დამატებითი ანგარიშების გახსნას.

4.4. თქვენ უფლება გაქვთ გახსნათ eMoney ანგარიში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ნებადართულია თქვენი ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობით. eMoney ანგარიშის გახსნით, თქვენ აცხადებთ და გარანტიას იძლევი, რომ თქვენს მიერ ანგარიშის გახსნით არ არღვევთ არანაირი კანონს ან რეგულაციას. თქვენ ვალდებული ხართ დაიცვათ ჩვენი ინტერესები და ავტომატურად ყველა ზიანი, რომელიც მოგვადგა თქვენს მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შედეგად.

4.5. თქვენს მიერ რეგისტრაციის პროცესში და შემდგომ, ნებისმიერ დროს მოწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი და შეესაბამებოდეს სიმართლეს.

4.6. თქვენ უფლება გაქვთ, თქვენს eMoney ანგარიშს დაამატოთ საგადახდო ინსტრუმენტები (როგორც არის საბანკო ანგარიშები, Pay ანგარიშები), საკრედიტო ან სადებეტო ბარათები) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ წარმოადგენთ აღნიშნული საგადახდო ინსტრუმენტის იდენტიფიცირებულ მფლობელს. თქვენს მიერ აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების ნებისმიერი სახით დარღვევა განიხილება სერიოზულად და თქვენს მიერ იმ საგადახდო ინსტრუმენტის დამატების მცდელობა, რომლის იდენტიფიცირებულ მფლობელსაც თქვენ არ წარმოადგენთ, ჩვენს მიერ განიხილება, როგორც თაღლითური ქმედება.

4.7. რეგისტრაციის პროცესში თქვენ ვალდებული ხართ განსაზღვროთ, როგორი სახის მიზნებისთვის გამოიყენებთ eMoney ანგარიშს - ინდივიდუალური თუ სამეწარმეო საქმიანობისთვის. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გეგმავთ, რომ თქვენი eMoney ანგარიში გამოიყენოთ სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად, თქვენ ვალდებული ხართ შეგვაცხადოთ ამის

შესახებ. თუ, თქვენ განაცხადით, რომ თქვენს eMoney ანგარიშს გამოიყენებთ მხოლოდ ინდივიდუალური მიზნებისთვის, ასეთ შემთხვევაში, თქვენ უფლება არ გექნებათ გამოიყენოთ იგი სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად. თქვენს მიერ თქვენი ანგარიშის სამეწარმეო საქმიანობის მიზნით გამოყენებად ჩაითვლება გადახდების მიღება ნებისმიერი სახის ბიზნეს საქმიანობიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, ჩვენი შეხედულებისამებრ განვსაზღვროთ იყენებთ თუ არა თქვენს ანგარიშს სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ იყენებთ თქვენს ანგარიშს სამეწარმეო საქმიანობის მიზნებისათვის, წინამდებარე პირობებთან ერთად თქვენზე ავტომატურად გავრცელდება PAY Gateway მერჩანტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები (ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე [www.pay.ge](http://www.pay.ge)) და ვალდებული იქნებით გადაიხადოთ შესაბამისი ტარიფები (რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე [www.pay.ge](http://www.pay.ge)). თქვენ ვალდებული ხართ დაუკავშირდეთ კლიენტთა მომსახურების ცენტრს, თუ დარწმუნებული არ ხართ, თქვენი საქმიანობა ითვლება თუ არა სამეწარმეო საქმიანობად.

## 5. ანგარიშით სარგებლობა

5.1. თქვენ ვალდებული ხართ უზრუნველყოთ თქვენს eMoney ანგარიშზე არსებული ინფორმაციის სიზუსტე და მისი განახლება. ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებლები თქვენს მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ არანაირ ზიანზე. ჩვენ უფლება გვაქვს, ნებისმიერ დროს მოვითხოვოთ თქვენგან თქვენი ინფორმაციის სისწორის დადასტურება ან დოკუმენტების ან სხვაგვარი მტკიცებულების წარმოდგენა.

5.2. ჩვენ უფლება გვაქვს, დაგაკავშირდეთ ელექტრონული ფოსტის ან წინამდებარე პირობების 23-ე მუხლით გათვალისწინებული კომუნიკაციის სხვა საშუალებით, თქვენს eMoney ანგარიშთან დაკავშირებული ინფორმაციის ან შეტყობინების მოწოდების მიზნით. თქვენ ვალდებული და პასუხისმგებელი ხართ რეგულარულად შეამოწმოთ თქვენი ელექტრონული ფოსტა ან თქვენს ანგარიშზე რეგისტრირებული კომუნიკაციის სხვა საშუალების ფუნქციონირება, მიიღოთ და დროულად წაიკითხოთ თქვენს ანგარიშთან დაკავშირებული შეტყობინებები. ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებლები თქვენს მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ არანაირ ზიანზე.

5.3. თანხების ატვირთვის, გადახდების მიღების, გადახდების განხორციელების, თანხების განაღდების და შესაბამისი საკომისიოს შესახებ ინფორმაცია ასახულია ონლაინ ტრანზაქციების ისტორიაში. თითოეულ ტრანზაქციას მინიჭებული აქვს ტრანზაქციის უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია ონლაინ ტრანზაქციების ისტორიაში. თქვენ ვალდებული ხართ, კონკრეტულ ტრანზაქციასთან დაკავშირებით ჩვენთან კომუნიკაციის შემთხვევაში, აუცილებლად მიუთითოთ აღნიშნული საიდენტიფიკაციო ნომერი. თქვენ ვალდებული ხართ, რეგულარულად შეამოწმოთ თქვენს ანგარიშზე არსებული ნაშთი, ტრანზაქციების ისტორია და დროულად შეგვატყობინოთ ნებისმიერი უზუსტობის და შეუსაბამობის შესახებ ან ინფორმაციის დაზუსტების მიზნით მიმართოთ კითხვით ჩვენს კლიენტთა მომსახურების ცენტრს.

## 6. თქვენი eMoney ანგარიშის უსაფრთხოების დაცვა

6.1. თქვენ ვალდებული ხართ ყოველთვის უსაფრთხოდ შეინახოთ თქვენი ანგარიშის პაროლი და არასდროს გაუშუქავნოთ იგი არავის. ჩვენი თანამშრომლები არასდროს მოგთხოვენ თქვენს მიერ თქვენი პაროლის ჩვენთვის ან სხვა მესამე პირისთვის წარმოდგენას. თქვენ ვალდებული ხართ გვაცნობოთ თქვენს მიერ მიღებული ნებისმიერი გზავნილის, ან ნებისმიერი ვებ-გვერდის შესახებ, გარდა eMoney ვებ-გვერდისა, eMoney-ისთან დაკავშირებული პირების ვებ-გვერდებისა ან PAY Gateway საგადახდო არხისა ან მერჩანტის ვებ-გვერდისა, რომელიც მოგთხოვთ თქვენი ანგარიშის პაროლის გამოყენებას. თქვენ ვალდებული ხართ დაუკავშირდეთ კლიენტთა მომსახურების ცენტრს, თუ ეჭვი გაგიჩნდათ რომ ზემოაღნიშნული ვებ-გვერდი არ არის ნამდვილი. თქვენ ვალდებული ხართ რეგულარულად შეცვალოთ თქვენი პაროლი და ასევე არასდროს:

- ჩაიწეროთ ან სხვაგვარად შეინახოთ თქვენი პაროლი;
- დართოთ ნება სხვა პირებს ისარგებლონ თქვენი eMoney ანგარიშით ან დაგაკვირდნენ თქვენს მიერ თქვენს eMoney ანგარიშზე შესვლის დროს;
- აირჩიოთ ადვილად გამოსაცნობი პაროლი, რომელიც შესაძლებელია მოპოვებულ იქნას სხვა პირის მიერ ; ან
- აირჩიოთ პაროლი, რომელსაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა.

6.2. თქვენ ვალდებული ხართ შეცვალოთ თქვენი პაროლი და დაუყოვნებლივ დაუკავშირდეთ კლიენტთა მომსახურების ცენტრს, იმ შემთხვევაში თუ გაქვთ საფუძვლიანი ეჭვი რომ თქვენი ანგარიშზე შესასვლელი ინფორმაცია, პაროლი ან უსაფრთხოების სხვა კოდ(ებ)ი ან საშუალებები იქნა მოპარული, დაკარგული, უკანონოდ მითვისებული, უნებართვოდ გამოყენებული ან სხვაგვარად მითვისებული. თქვენს მიერ ჩვენი ინფორმირების დაგვიანება არა მარტო ზეგავლენას მოახდენს თქვენი eMoney ანგარიშის უსაფრთხოებაზე, არამედ გამოიწვევს თქვენს პასუხისმგებლობას ნებისმიერ

დანაკარგთან დაკავშირებით. თუ თქვენ ეჭვი გაქვთ, რომ თქვენი eMoney ანგარიში თქვენი თანხმობის გარეშე გამოიყენა სხვა პირმა, თქვენ ასევე ვალდებული ხართ აცნობოთ პოლიციას აღნიშნული ფაქტის შესახებ.

6.3. ჩვენ უფლება გვაქვს ნებისმიერ დროს შევაჩეროთ ან სხვაგვარად შევზღუდოთ თქვენი eMoney ანგარიშის ფუნქციონირება, თუ ჩვენ ეჭვი გავიჩნდებოდა, რომ თქვენი eMoney ანგარიში გამოიყენებულა სხვა პირის მიერ თქვენი ნებართვის გარეშე ან იგი სხვაგვარად იქნა მოთვისებული.

6.4. თქვენ ასევე ვალდებული ხართ მიიღოთ ყველა გონივრული ზომა და უზრუნველყოთ, რომ თქვენი ელექტრონული ფოსტის ანგარიშები არის დაცული და სარგებლობთ მხოლოდ თქვენ, რადგან თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პაროლის აღსადგენად ან თქვენთან eMoney ანგარიშთან დაკავშირებული კომუნიკაციის განსახორციელებლად. იმ შემთხვევაში თუ თქვენს eMoney ანგარიშთან დაკავშირებული ელექტრონული ფოსტა იქნა უკანონოდ გამოყენებული, თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ აცნობოთ აღნიშნულის შესახებ კლიენტთა მომსახურების ცენტრს და თქვენი ელექტრონული ფოსტის სერვისს პროვადერს.

6.5. თუ თქვენ eMoney ანგარიშით სარგებლობისათვის იყენებთ საჯარო ან საერთო მოხმარების კომპიუტერს, თქვენ ვალდებული ხართ უზრუნველყოთ რომ თქვენი ანგარიშზე წვდომის მონაცემები არ შეინახება ვებ ბრაუზერში ან ქეშში. თუ თქვენ იყენებთ თქვენს პირად კომპიუტერს, ასეთ შემთხვევაში თქვენ ვალდებული ხართ უზრუნველყოთ, რომ მხოლოდ თქვენ სარგებლობდეთ აღნიშნული კომპიუტერით. თქვენ ვალდებული ხართ არასდროს გამოიყენოთ კომპიუტერის ნებისმიერი ისეთი ფუნქცია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ანგარიშზე წვდომის მონაცემების ან პაროლების კომპიუტერზე შენახვა და დამახსოვრება.

6.6. თქვენს შესახებ არსებული ინფორმაციის და თქვენი ოპერაციების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ჩვენ უფლება გვაქვს ნებისმიერ დროს შევქმნათ თქვენი იდენტიფიცირების დამატებითი ღონისძიებები, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს, მოვითხოვთ სპეციალური მოწყობილობის, პროგრამის საშუალებით შექმნილი დამატებითი კოდ(ებ)ის ან სხვა სახის ციფრული ან/და ელექტრონული წვდომის კოდ(ებ)ის გამოყენება, რომელიც ჩვენს მიერ არის მოწოდებული გარკვეული ოპერაციების შესასრულებლად.

6.7. თქვენ ვალდებული ხართ დაიცვათ eMoney ანგარიშით სარგებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ჩვენს მიერ მოწოდებულ ციფრული, პროგრამული ან სხვა სახის ციფრული თუ ელექტრონული წვდომის საშუალებებს ან აღნიშნულ საშუალებებთან დაკავშირებულ ყველა სახის კოდებს.

6.8. სხვა დამატებით პროდუქტებს ან მომსახურებებს, რომელთა გამოყენების უფლებაც გაქვთ თქვენ, შესაძლებელია ჰქონდეს უსაფრთხოების სხვა დამატებითი მოთხოვნები და თქვენ ვალდებული ხართ გაეცნოთ ასეთ მოთხოვნებს.

## 7. ანგარიშის დახურვა

7.1. თქვენ უფლება გაქვთ დახუროთ თქვენი eMoney ანგარიში ნებისმიერ დროს, კლიენტთა მომსახურების ცენტრთან დაკავშირების გზით.

7.2. ანგარიშის დახურვის მომენტში მასზე ნაშთის არსებობის შემთხვევაში, ჩვენ საშუალებას მოგცემთ რომ გამოიტანოთ თქვენი თანხები გონივრულ ვადაში, რა პერიოდშიც თქვენ უფლება გექნებათ ისარგებლოთ თქვენი ანგარიშით მხოლოდ ანგარიშზე დარჩენილი ნაშთის გამოტანის მიზნით. წინამდებარე პირობების მე-6 მუხლში მითითებული ანგარიშის უსაფრთხოების დაცვის პირობები გააგრძელებს მოქმედებას თქვენი ანგარიშის დახურვის მომენტში. იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მიერ დადგენილი პერიოდის განმავლობაში არ მოახდენთ თანხების გამოტანას, ჩვენ უფლება გვაქვს თქვენს ანგარიშზე არსებული ნაშთი გადავრიცხოთ თქვენს Pay ანგარიშ(ებ)ზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაკავშირებულია თქვენს eMoney ანგარიშთან ან ბანკში გახსნილ თქვენს ნებისმიერ ანგარიშზე და ამ მიზნით კონვერტაცია გავუკეთოთ აღნიშნულ თანხებს ბანკში შესაბამისი პერიოდისთვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. ჩვენ უფლება გვაქვს (მაგრამ არ ვართ ვალდებული) გამოგიგზავნოთ აღნიშნული თანხა თქვენს eMoney ანგარიშზე რეგისტრირებულ მისამართზე და დაგაკისროთ შესაბამისი გამოტანის საკომისიოს გადახდა (უცხოური ვალუტის კონვერტაციის ხარჯების გათვალისწინებით). თქვენი მისამართის განახლება წარმოადგენს თქვენს ვალდებულებას და შესაბამისად ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებლები იმ დანაკარგზე, რომელიც თქვენ შესაძლებელია განიცადოთ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობით.

7.3. თქვენს მიერ თქვენი ანგარიშის დახურვით ჩვენთან არსებული თქვენი პირადი მონაცემები არ გაუქმდება და ჩვენ გავაგრძელებთ ასეთი ინფორმაციის, მათ შორის ტრანზაქციის ისტორიის, შენახვას მინიმუმ ექვსი წლის ვადით, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

## 8. ანგარიშის შევსება



8.1. თქვენ შეგიძლიათ თქვენი eMoney ანგარიშის შევსება ბანკის ფილიალების, ვებ-გვერდის საშუალებით, თქვენს პირად ანგარიშში არსებული ანგარიშის შევსების ინსტრუქციების შესაბამისად ან/და ჩვენს მიერ დრო და დრო შემოთავაზებული დამატებითი ელექტრონული ან/და ფიზიკური არხების საშუალებით. დამატებით, შესაძლებელია, თქვენთვის შემოთავაზებულ იქნას ანგარიშის შევსების სხვა მეთოდები, იმის გათვალისწინებით, (i) დაკავშირებული გაქვთ თუ არა თქვენი eMoney ანგარიში Pay ანგარიშ(ებ)თან, (ii) რომელი საგადახდო ინსტრუმენტები გაქვთ დამატებული თქვენს eMoney ანგარიშთან და (iii) რა სახის საგადახდო ინსტრუმენტებია ხელმისაწვდომი იმ ქვეყანაში, რომელშიც ცხოვრობთ. ანგარიშის შევსების საშუალებები წარმოადგენს ბანკის ან/და სხვა ფინანსური ინსტიტუტების (მაგალითად, ის საგადახდო ბარათის ემიტენტი, რომლის მიერ გამოშვებული საგადახდო ბარათების საშუალებითაც ხორციელდება ანგარიშის შევსება ან სხვა პირდაპირი საბანკო მომსახურების პროვაიდერები) მიერ გაწეულ საგადახდო მომსახურებებს და ამავდროულად ისინი არ შეადგენენ eMoney-ს მიერ გაწეულ მომსახურებებს. eMoney არ იძლევა გარანტიას ანგარიშის შევსების არც ერთ საშუალებაზე და უფლება აქვს ნებისმიერ დროს წინამდებარე პირობების მე-11 მუხლში მითითებული პირობების დაუცველად შეცვალოს ან შეწყვიტოს ნებისმიერი კონკრეტული ანგარიშის შევსების საშუალების მოქმედება ან/და მიღება. eMoney არ არის პასუხისმგებელი ანგარიშის შევსებაზე მანამ, სანამ ანგარიშის შევსების შედეგად თანხები არ იქნება მიღებული eMoney-ს მიერ.

8.2. ანგარიშის შევსების ოპერაციის სათანადო ავტორიზაციის უზრუნველყოფის მიზნით, თქვენ შესაძლებელია მოგთხოვოთ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემა, ან სხვა მოქმედების შესრულება, რასაც ჩვენ ჩავთვლით აუცილებლობად გონივრულობიდან გამომდინარე.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ eMoney ანგარიშზე თანხის შეტანა მოხდა გადახდის ისეთი მეთოდით, რომელიც შეტანილი თანხის ჩარჯბექის საშუალებას იძლევა, როგორც არის (შეზღუდვის გარეშე) საკრედიტო და სადებეტო ბარათები და ავტომატური გადახდები (Direct Debit), თქვენ თანხმობას აცხადებთ, რომ, არ გამოიყენებთ ჩარჯბექის უფლებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადახდის ინსტრუმენტი გამოყენებულ იქნა არაუფლებამოსილი პირის მიერ ან eMoney-ს მიერ დარღვეულ იქნა წინამდებარე მომსახურების პირობები, რაც თქვენ გაძლევთ უფლებას, რომ მოითხოვოთ შეტანილი თანხის ანაზღაურება. თქვენ უფლება არ გაქვთ უკან დაიბრუნოთ ანგარიშს შევსების ტრანზაქციით გადარიცხული თანხა ან მოითხოვოთ ჩარჯბექი ანგარიშის შევსების ტრანზაქციაზე, იმ მიზეზის გამო, რომლებზეც eMoney არ არის პასუხისმგებელი, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს დავებს მერჩანტთან საქონლის ან მომსახურების მიუწოდებლობასთან დაკავშირებით, ასევე გადახდის ინსტრუმენტთან დაკავშირებულ ანგარიშზე თანხის შესაბამისი ნაშთის არარსებობას. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, დაგაკისროთ ყველანაირი საკომისიო და გადასახდელი, რაც ჩვენ დაგვეკისრება ჩარჯბექთან დაკავშირებით, ან ნებისმიერი, იმავე მიზნით განხორციელებული ქმედების გამო. ჩვენ ასევე უფლება გვაქვს დაგაკისროთ ჩარჯბექის საკომისიო 50 ლარის ოდენობით.

8.4. თქვენ უფლება გაქვთ, შეატყობინოთ მერჩანტს, თქვენი სურვილი, eMoney ანგარიშის რეგულარულად გამოყენების შესახებ და უფლება მისცეთ თქვენი eMoney ანგარიშიდან ავტომატურად მოახდინოს თანხის ჩამოჭრა (გადახდა) ყოველი განმეორებადი გადახდისას. ამ შემთხვევაში, თქვენ უფლებას აძლევთ eMoney-ს, ყოველი მომდევნო გადახდისას ჩამოჭრას თანხა იმ კონკრეტული გადახდის ინსტრუმენტიდან (საკრედიტო ან საბანკო ბარათი), რომლიდანაც თქვენ განახორციელებთ ძირითადი გადახდა (ანგარიშის შევსება) შემდგომი გადახდების განხორციელების მიზნით. თქვენ თანხმობას აცხადებთ, რომ არ გააუქმებთ, ან სხვაგვარი გზით არ მოახდენთ ზემოაღნიშნული მომდევნო გადახდების გაუქმებას ან სხვაგვარად შეწყვეტთ გადახდებს გადახდის ინსტრუმენტის ემიტენტ ორგანიზაციასთან (პროვაიდერი ბანკი) დაკონტაქტების გზით. იმისათვის, რომ მომდევნო გადახდები გაუქმებულ იქნას სამომავლოდ, თქვენ ვალდებული ხართ ამის შესახებ შეატყობინოთ ა) eMoney-ს; ბ) შესაბამის მერჩანტს, რომლისგანაც მოხდა საქონლის ან მომსახურების შესყიდვა და რომელთან დაკავშირებითაც თქვენ გასურთ მომდევნო გადახდების გაუქმება.

8.5. 8.3 მუხლში ჩამოყალიბებული დებულებების შინაარსის პირობების გათვალისწინებით, თუ ჩარჯბექი ან ჩარიცხული თანხის უკან გამოთხოვის უფლების გამოყენება გამოიწვევს თქვენს eMoney ანგარიშზე უარყოფითი ბალანსის ასახვას, თქვენ ვალდებული ხართ, დაფაროთ აღნიშნული უარყოფითი ბალანსი თქვენს eMoney ანგარიშზე შესაბამისი ოდენობის თანხის შეტანის გზით. აღნიშნული პირობის დარღვევა განიხილება როგორც წინამდებარე მომსახურების პირობების დარღვევა. უარყოფითი ბალანსის დაფარვის ვალდებულება მოქმედებს დაუყოვნებლივ, შეტყობინების გარეშე, თუმცა ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, ნებისმიერ დროს გამოგიგზავნოთ შემახსენებელი შეტყობინებები ან მივიღოთ სხვა ზომები დავალიანების ამოსადებად, რაც შეზღუდვის გარეშე გულისხმობს, დავალიანების ამოღებაზე უფლებამოსილი ორგანოსათვის ან ორგანიზაციისთვის საქმის გადაცემას, ან მოთხოვნის სასამართლოს წინაშე დაყენებას. ჩვენ ასევე უფლებას ვიტოვებთ, დაგაკისროთ ყველანაირი ხარჯი, რომელიც ჩვენ დაგვეკისრება ვალდებულების დაფარვის ან სააღსრულებო ღონისძიებებთან დაკავშირებით.

8.6. ანგარიშზე შეტანილი თანხა აისახება თქვენს eMoney ანგარიშზე eMoney-ს მიერ შესაბამისი ოდენობის თანხის მიღების დღეს. ანგარიშის შევსების ისეთი ტრანზაქციები, როგორცაა ტრანზაქციები, განხორციელებული საკრედიტო ან სადებეტო ბარათებით, ასევე ავტომატური გადახდების (Direct Debit) ან პირდაპირ ბანკის საშუალებით, აისახება თქვენს ანგარიშზე დაუყოვნებლივ, მაგრამ ექვემდებარება უკან დაბრუნებას, იმ შემთხვევაში, თუ გონივრული ვადის განავლობაში eMoney-ს მიერ არ იქნება მიღებული იმავე ოდენობის თანხა. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული ტრანზაქციის ექვივალენტ თანხას eMoney ჩამოჭრის თქვენს ანგარიშზე არსებული თანხიდან. იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშზე არსებული თანხა არასაკმარისი იქნება აღნიშნული ვალდებულების დასაფარად, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, შესაბამისი ოდენობის თანხის ანაზღაურება მოვითხოვოთ თქვენგან.

8.7. გადახდის ინსტრუმენტებიდან განხორციელებული ანგარიშის შევსების ტრანზაქციების მიზნებიდან გამომდინარე, eMoney წარმოადგენს გადასახადის მიმღებს და არა გადახდის მომსახურების პროვაიდერს.

8.8. თქვენ არ გაქვთ უფლება, განახორციელოთ ტრანზაქცია იმ გადახდის ინსტრუმენტის გამოყენებით, რომელიც არ არის გაცემული თქვენს სახელზე. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის გამოვლინებას ჩვენ ვეკიდებით სრული სერიოზულობით და შესაბამისად, სხვა პირის სახელზე გაცემული გადახდის ინსტრუმენტიდან ტრანზაქციის განხორციელების ყოველ მცდელობას მივიჩნევთ თაღლითობად. ზიანის ანაზღაურების დამატებითი საშუალებების მოთხოვნასთან ერთად, ჩვენ უფლება გვაქვს დაგაკისროთ ადმინისტრაციული გადასახდელი 50 ლარის ოდენობით, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიმართ წამოყენებული იქნება მოთხოვნა იმ თანხის უკან დაბრუნებაზე, რომლის ტრანზაქციაც განხორციელდა სხვა პირის სახელზე გაცემული გადახდის ინსტრუმენტის გამოყენებით.

8.9. სამართლებრივი ნორმებისა და უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ანგარიშის შევსების ოდენობა შესაძლებელია დაექვემდებაროს გარკვეულ ლიმიტებს. აღნიშნული ლიმიტის ზღვარი არის ცვლადი და დამოკიდებულია თქვენი ვერიფიკაციის სტატუსზე და ანგარიშის შევსების ტრანზაქციის განხორციელების თქვენს მიერ გამოყენებულ მეთოდზე. თქვენი ვერიფიკაციის სტატუსიდან გამომდინარე, ანგარიშის შევსების ოდენობაზე დაწესებული ლიმიტი შესაძლებელია აჭარბებდეს თანხის განაღდებას ან გახარჯვის ლიმიტს. თქვენ შესაძლებლობა გაქვთ, ნებისმიერ დროს იხილოთ დაწესებული ლიმიტები თქვენი ანგარიშის პარამეტრების შესაბამის სექციაში.

8.10. ანგარიშის შევსების ტრანზაქციის განხორციელება წინამდებარე პირობების მე-18 მუხლის შესაბამისად ექვემდებარება საკომისიოს გადახდას და ვალუტის კონვერტაციას, რისი ოდენობაც დამოკიდებულია ანგარიშის შევსების ოპერაციის განხორციელების მეთოდსა და გადახდის ინსტრუმენტზე.

## 9. გადახდების განხორციელება

9.1. გადახდის გაგზავნის განსახორციელებლად, თქვენ ვალდებული ხართ, ავტორიზაცია გაუკეთოთ გადახდას თქვენივე მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით. უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ჩვენ უფლება გვაქვს, დამატებით დაგისვით თქვენს პიროვნებასთან ან თქვენს ანგარიშთან დაკავშირებული შეკითხვები. თუ თქვენი ანგარიში დაცულია უსაფრთხოების დამატებითი ზომებით, როგორცაა მაგალითად პაროლის შემცველი ნივთები, თქვენ ვალდებული ხართ, იმოქმედოთ ინსტრუქციის შესაბამისად, რომელსაც თქვენ მიიღებთ აღნიშნული უსაფრთხოების დაცვის დამატებით ზომებთან ერთად. იმ შემთხვევაში, თუ თქვენს ანგარიშს გაააჩნია დიდი რაოდენობით გადახდების განხორციელების ფუნქცია, აღნიშნული გადახდების განხორციელების პროცედურა გეცნობებათ ინტეგრაციის სახელმძღვანელოს საშუალებით.

9.2. გადახდის ნებისმიერი მიმღები, რომელსაც გსურთ eMoney-ს საშუალებით გადაურიცხოთ თანხა, ვალდებულია გააჩნდეს მოქმედი ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფეისბუქის ანგარიში, მობილური ტელეფონის ნომერი, Pay ანგარიშ(ებ)ი ან/და eMoney ანგარიში, ან სხვაგვარად უნდა ფლობდეს ანგარიშს, ელექტრონულ საფულეს, ან გადახდის მიღების სხვა საშუალებას, რომელიც ნებადართულია, მიღებულია და ინტეგრირებულია PAY Gateway-ს სისტემაში.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ თქვენს მიმართ განხორციელდა მოთხოვნა გადახდის მიმღების ელექტრონული ფოსტის მისამართის წარმოდგენის შესახებ, თქვენ ვალდებული ხართ გამოიჩინოთ დიდი ყურადღება, რათა ზუსტად დააფიქსიროთ ელექტრონული ფოსტის მისამართი, სადაც გსურთ გადახდის გაგზავნა. eMoney-ს უფლება აქვს, გამოიყენოს ელექტრონული ფოსტის მისამართი როგორც თქვენს მიერ მოთხოვნილი გადახდის მიმღების იდენტიფიცირების უნიკალური საშუალება. ელექტრონული ფოსტის მისამართთან ერთად თქვენს მიერ მითითებული სხვა მონაცემები შესაძლებელია უგულვებელყოფილ იქნეს და ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებლები ნებისმიერი შეცდომის გამო, რომელიც თქვენს მიერ შესაძლებელია მოხდეს გადახდის მიმღების ელექტრონული ფოსტის მისამართის დაფიქსირებისას.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ გადახდის მიმღები ფლობს eMoney, Pay ანგარიშ(ებ)ს, ან ნებისმიერ სხვა ანგარიშს, ელექტრონულ საფულეს ან გადახდის მიღების ისეთ საშუალებას, რომელიც ოპერირებული ან ინტეგრირებულია PAY Gateway-ს სისტემაში, გადახდის ტრანზაქციის შესაბამისი თანხა დაუყოვნებლივ აისახება იმ eMoney ანგარიშზე, რომელიც დაკავშირებულია

აღნიშნულ ელექტრონული ფოსტის მისამართთან, Pay ანგარიშ(ებ)თან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თქვენ იყენებთ eMoney-ს ესქროლ მომსახურებას მე-14 მუხლის შესაბამისად. როგორც კი განხორციელებული ტრანზაქციის შესაბამისი თანხა აისახება მიმღების ანგარიშზე, ტრანზაქცია იღებს შეუქცევად ხასიათს.

9.5. იმ შემთხვევაში, თუ გადახდის მიმღები არ ფლობს eMoney, Pay ანგარიშ(ებ)ს, ან სხვა ანგარიშს, ელექტრონულ საფულეს, ან გადახდის მიმღების სხვა საშუალებას, რომელიც ოპერირებული ან ინტეგრირებულია Pay Gateway-ს სისტემის მიერ, ჩვენ გავაგზავნით შეტყობინებას თანდართული ინსტრუქციით ელექტრონულ ფოსტის, მობილური ტელეფონის, ფეისბუქის ანგარიშის, და/ან სხვა ისეთი საშუალების გამოყენებით, რაც მოცემული შემთხვევიდან გამომდინარე ჩვენთვის იქნება ცნობილი, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება მოხვნილ და მიღებულ იქნეს გადახდის ტრანზაქციის შესაბამისი თანხა. იმ შემთხვევაში, თუ გადახდის მიმღები არ მოითხოვს კუთვნილ თანხას 14 დღის განმავლობაში, გადახდილი თანხა დაგიბრუნდებათ თქვენ. თქვენ ასევე უფლება გაქვთ, ნებისმიერ დროს გააუქმოთ ტრანზაქცია, იმ მომენტამდე, ვიდრე მოხდება გადახდის მიმღების eMoney ანგარიშზე თანხის ასახვა. იმისათვის, რომ მოახდინოთ ტრანზაქციის გაუქმება, თქვენ ვალდებული ხართ შეხვიდეთ თქვენს eMoney ანგარიშზე, მოძებნოთ შესაბამისი ტრანზაქცია „ტრანზაქციების ისტორიაში“ და აირჩიოთ „გაუქმება“ ან/და ტრანზაქციისთვის მიმართოთ ჩვენს მიერ ავტორიზებულ შესაბამის პირებს ან/და განახორციელოთ გაუქმება ჩვენს მიერ ნებადართული სხვადასხვა ელექტრონული არხების საშუალებით.

9.6. თქვენ უფლება გაქვთ, თქვენს eMoney ანგარიშზე გადახდის ბრძანების შექმნით განახორციელოთ განმეორებადი გადახდები. თქვენ შეგიძლიათ მომავალი გადახდებისთვის გააუქმოთ განმეორებადი გადახდების ბრძანება ნებისმიერ დროს, თქვენს eMoney ანგარიშზე შესვლითა და შესაბამისი ბრძანების წაშლით. თქვენ ვერ მოახდენთ იმ ტრანზაქციების გაუქმებას, რომლის თანხაც უკვე დაფიქსირებულია გადახდის მიმღების ანგარიშზე.

9.7. სამართლებრივი ნორმებიდან და უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე, გადახდები ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს. აღნიშნული შეზღუდვები ცვლადი ხასიათის არის და დამოკიდებულია თქვენი ვერიფიკაციის სტატუსზე. თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს იხილოთ აღნიშნული შეზღუდვები თქვენი ანგარიშის პარამეტრებში. თქვენ უნდა დარწმუნდეთ, რომ დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით, საშუალება გაქვთ განახორციელოთ სასურველი გადახდა, ასევე ვალდებული ხართ გაითვალისწინოთ ნებისმიერი სახის საკომისიო, მომსახურებისა და ვალუტის კონვერტაციისთვის დადგენილი საკომისიოს ჩათვლით. თქვენ ასევე უნდა გააცნობიეროთ, რომ თქვენს მიერ განხორციელებული გადახდის მიმღებზე შეიძლება ვრცელდებოდეს განადგობისა და გახარჯვის გარკვეული შეზღუდვები და რომ ამან შესაძლოა გავლენა იქონიოს გადახდის მიმღების მიერ თანხის წვდომაზე იმ გადახდებთან დაკავშირებით, რომლის განხორციელებასაც თქვენ გეგმავთ.

9.8. გადახდების გაგზავნა წინამდებარე პირობების მე-18 მუხლის თანახმად, ექვემდებარება მომსახურებისა და ვალუტის კონვერტაციისთვის დადგენილი საკომისიოს გადახდას, რომელთა ოდენობაც დამოკიდებულია თქვენს მიერ განხორციელებული გადახდის სახეზე და ანგარიშის ტიპზე, რომელსაც ფლობთ.

## 10. თანხის მიღება

10.1. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მიიღებთ თანხას თქვენი eMoney ანგარიშის საშუალებით და არჩეული გაქვთ შეტყობინების მიმღების მომსახურება, ჩვენ გამოგიგზავნით შეტყობინებას ელექტრონული ფოსტის, ფეისბუქის, ან მობილური ტელეფონის საშუალებით, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, ხოლო მომსახურების საფასური ჩამოგეჭრებათ თქვენი eMoney ანგარიშიდან. თქვენ რეგულარულად უნდა უზრუნველყოთ შემოსული გადახდების შედარება თქვენს ჩანაწერთან.

10.2. თქვენს მიერ eMoney ანგარიშის საშუალებით თანხის მიღება თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია აღნიშნული ტრანზაქციის უკან გამოთხოვა. eMoney უფლებას იტოვებს, გააუქმოს განხორციელებული ტრანზაქცია იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელმა, გადამხდელის მომსახურე ბანკმა, ან გადახდის მომსახურების პროვაიდერმა განახორციელა ჩარჯბეჭი, ან სხვაგვარად გააუქმა (ან არსებობს გონივრული ეჭვი, რომ განახორციელებს ჩარჯბეჭს, ან სხვაგვარად გააუქმებს) განხორციელებული ანგარიშის შევსების ტრანზაქცია ან სხვა გადახდა, რომლის შესაბამისი თანხის მიღებაც უნდა მომხდარიყო თქვენს მიერ.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ პირმა eMoney-სგან მიიღო შეტყობინება იმასთან დაკავშირებით, რომ ვიღაცის მიერ გაგზავნილია ფულადი თანხა მის ელექტრონულ ფოსტაზე, ფეისბუქის ანგარიშზე, მობილური ტელეფონის ნომერზე ან სხვა ისეთი საშუალებით, რომელიც არ არის დარეგისტრირებული, აღნიშნული თანხა არ აისახება ანგარიშზე მანამ, სანამ შესაბამის შეტყობინებაში მითითებული წესის დაცვით არ იქნება გაკეთებული მოთხოვნა. ამ მომენტამდე, eMoney-სა და შეტყობინების მიმღებს შორის არ წარმოიქმნება არც სახელშეკრულებო ურთიერთობა და არც ფულადი თანხის შენახვის ვალდებულება. აღნიშნულ მომენტამდე გადახდის თანხა რჩება მისი გამგზავნის საკუთრებად.

10.4. თქვენ უფლება გაქვთ პირის მიმართ გააკეთოთ გადახდის მოთხოვნა „თანხის მოთხოვნის“ მომსახურების გამოყენებით, რომელიც ხელმისაწვდომია თქვენი ანგარიშის ფარგლებში. თქვენ უფლება გაქვთ გამოიყენოთ აღნიშნული მომსახურება თქვენდამი ფულადი ვალდებულების მქონე პირის მიმართ, იმ თანხებთან დაკავშირებით, რომლებზეც არ არსებობს დავა და რომელიც მთლიანობაში საკმარისია სრული გადახდისთვის. თქვენ უფლება არ გაქვთ ერთი და იმავე სახის გადახდისთვის აღნიშნული მომსახურება გამოიყენოთ ერთზე მეტად. თქვენ ვალდებული ხართ არ გამოიყენოთ აღნიშნული მომსახურება როგორც ვალის ამოღების საშუალება, ან აღსრულების ღონისძიება. იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომელსაც თქვენს მიმართ გაჩნია გადახდის ვალდებულება, წამოგიყენებთ მოთხოვნას, რათა მის მიმართ არ ისარგებლოთ eMoney-ს აღნიშნული მომსახურებით, თქვენ ვალდებული ხართ დაემორჩილოთ აღნიშნულ მოთხოვნას, მიუხედავად თქვენი მოთხოვნის შინაარსისა. როდესაც თქვენ სარგებლობთ აღნიშნული მომსახურებით, თქვენ ვალდებული ხართ დარწმუნდეთ, რომ თქვენ გაქვთ იმ კონკრეტულ პიროვნებასთან კომუნიკაციის დამყარების უფლება, ვის მიმართაც აკეთებთ გადახდის მოთხოვნას. თქვენ მკაცრად გეკრძალებათ, მოთხოვნა გააკეთოთ იმ პირის მიმართ:

- რომელსაც თქვენს მიმართ არ გააჩნია მოთხოვნილი თანხის გადახდის ვალდებულება;
- რომელიც არ არის უფლებამოსილი გახსნას eMoney ანგარიში (მაგალითად არასრულწლოვანი), ან
- რომელსაც არ გაუცია, ან უკან გამოითხოვა საკუთარი თანხმობა აღნიშნული სერვისით გადახდის მოთხოვნის მიღებაზე;

ჩვენ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ მიყენებული ზიანის/ზარალის ანაზღაურება, რომელიც დადგა თქვენს მიერ ზემოაღნიშნული პირობის დარღვევის შედეგად.

10.5. გადახდის მოთხოვნის მიღება მე-18 მუხლის შესაბამისად, ექვემდებარება მომსახურების საკომისიოსა და ვალუტის კონვერტაციას, რომლის ოდენობაც განისაზღვრება თქვენს მიერ მიღებული გადახდის სახისა და ანგარიშის ტიპის მიხედვით, რომელსაც თქვენ ფლობთ.

### 11. ავტომატური შევსების მომსახურება

11.1. eMoney-ს ვებ-გვერდზე ონლაინ დარეგისტრირების პროცესის გავლის შემდეგ, თქვენ შეგიძლიათ აქტივაცია გაუკეთოთ eMoney-ს მიერ შემოთავაზებულ ავტომატური შევსების მომსახურებას, რომლის საშუალებითაც თქვენ შეგეძლება თქვენს eMoney ანგარიშზე თანხების ავტომატური შევსების ფუნქციის გააქტიურება.

11.2. ონლაინ რეგისტრაციის გავლის და შესაბამისი განაცხადის შევსების შემდგომ, თქვენ ვალდებული ხართ, გაიაროთ SMS ვერიფიკაციის პროცესი. აღნიშნული პროცესის წარმატებით დასრულების შემდგომ გააქტიურდება ავტომატური შევსების მომსახურება იმ პირობების გათვალისწინებით, რომელიც თქვენ მიუთითებთ განაცხადში ონლაინ რეგისტრაციის დროს.

11.3. ავტომატური შევსების მომსახურების გააქტიურებით, თქვენ უფლებამოსილებას ანიჭებთ eMoney-ს, რომ თქვენი შემდგომი თანხმობის გარეშე, შესაბამისი ტრანზაქციისთვის დაგაკისროთ და ჩამოჭრას თანხა(ები) ნებისმიერი და ყველა იმ საგადახდო ინსტრუმენტ(ებ)იდან, რომლებიც თქვენ გაქვთ დაკავშირებული თქვენს eMoney ანგარიშთან. თქვენ შეგიძლიათ, ონლაინ რეგისტრაციისას განაცხადში მიუთითოთ ის თანხა(თანხები), რომლებიც ავტომატურად ჩამოიჭრება და რომლითაც შეივსება თქვენი eMoney ანგარიში. ჩვენ, თქვენს მიერ წინასწარ მითითებული ოდენობით ჩამოვჭრით თანხებს თქვენი იმ საგადახდო ინსტრუმენტ(ებ)იდან, რომლებიც დაკავშირებულია თქვენს eMoney ანგარიშთან, მას შემდეგ რაც თქვენს eMoney ანგარიშზე არსებული ბალანსი ჩამოსცდება იმ ოდენობას, რომელიც თქვენ მიუთითებთ ავტომატური შევსების მომსახურების განაცხადში ონლაინ რეგისტრაციის პროცესში. თქვენი საგადახდო ინსტრუმენტებიდან თანხების ჩამოჭრა მოხდება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

11.4. თქვენ გაქვთ საკმარისი ნაშთი იმ საგადახდო ინსტრუმენტზე, რომელიც დაკავშირებულია თქვენს eMoney ანგარიშთან;

11.5. საგადახდო ინსტრუმენტი, რომელიც დაკავშირებულია თქვენს eMoney ანგარიშთან ოპერირებულია საქართველოში მოქმედი ბანკების მიერ;

11.6. მოთხოვნილი თანხა(თანხები), რომლითაც ავტომატურად შეივსება თქვენი eMoney ანგარიში არ აჭარბებს დანართით #1 განსაზღვრულ ლიმიტებს;

11.7. ავტომატური შევსების მომსახურების აქტივაციის შემდგომ, ჩვენ ანგარიშის თითოეული შევსების შესახებ შეგატყობინებთ მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით.

11.8. თქვენ თანხმობას აცხადებთ, მასზედ, რომ ბალანსის ავტომატური შევსების მომსახურება და თქვენი eMoney ანგარიშის ავტომატური შევსება არ განხორციელდება, იმ შემთხვევაში თუ თქვენს eMoney ანგარიშთან დაკავშირებულ საგადახდო ინსტრუმენტ(ებ)ზე არ იქნება საკმარისი ნაშთი.

11.9. თქვენ უფლება გაქვთ:



11.10. ნებისმიერ დროს შეცვალოთ თქვენს eMoney ანგარიშზე ავტომატურად შესავსები თანხის ოდენობა დანართით #1 მითითებული ლიმიტების გათვალისწინებით.

11.11. გააუქმეთ ავტომატური შევსების მომსახურების ქვემოთმოცემული პირობების შესაბამისად.

11.12. ავტომატური შევსების მომსახურების გაუქმება ხორციელდება ელექტრონულად, ვებ-გვერდის საშუალებით, ჩვენთვის ავტომატური შევსების მომსახურების გაუქმების შესახებ ონლაინ მოთხოვნის გამოგზავნის საშუალებით. ავტომატური შევსების მომსახურება გაუქმდება თქვენი გაუქმების შესახებ მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში ავტომატური შევსების მომსახურება რჩება აქტიური და ყველა ის თანხა, რომელიც თქვენ მიუთითეთ ავტომატური შევსების მომსახურების განაცხადის რეგისტრაციის დროს შესაძლებელია ავტომატურად იქნას ჩამოჭრილი და შესაბამისად თქვენი eMoney ანგარიში ავტომატურად შეივსოს დანართით #1 მითითებული ლიმიტების და პირობების გათვალისწინებით. თქვენი eMoney ანგარიშის შევსების ოპერაცია, რომელიც განხორციელდა თქვენს მიერ ავტომატური შევსების მომსახურების გაუქმების შესახებ მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევად და შესაბამისად მასზე ჩარჯბეჭეტი არ გავრცელდება.

11.13. ავტომატური შევსების მომსახურების შედეგად შექმნილ ელექტრონულ საგადახდო დოკუმენტებს აქვთ იგივე იურიდიული ძალა როგორც ქაღალდზე შესრულებულ ნაბეჭდ დოკუმენტს, რომელიც ხელმოწერილია eMoney ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ.

## 12. აკრძალული ტრანზაქციები

12.1. მკაცრად აკრძალულია ისეთი გადახდის მოთხოვნის გაგზავნა ან მიღება, რომელიც განკუთვნილია შემდეგი სახის პროდუქციის შეძენის ან გაყიდვისთვის:

- ნარკოტიკული საშუალებები ან მასთან დაკავშირებული ატრიბუტები;
- ცეცხლსასროლი იარაღი ან საბრძოლო მასალა;
- იარაღი და დანები;
- საკაბელო და სატელეკომუნიკაციო ტელევიზიების სიგნალის ჩამხშობი მოწყობილობები;
- პორნოგრაფიული მასალა;
- მთავრობის საიდენტიფიკაციო დოკუმენტები და ლიცენზიები, ასევე რეპროდუქცია და ინოვაციის ნიმუშები;
- არალიცენზირებულ ლატარიასა და აზარტულ თამაშობებთან დაკავშირებული მომსახურება;
- მრავალდონიანი მარკეტინგული, პირამიდის სტილის სავაჭრო ან Ponzi სქემები, მატრიცა პროგრამები ან სხვა სწრაფი გამდიდრების სქემები ან მაღალშემოსავლიანი საინვესტიციო პროგრამები;
- საქონელი ან მომსახურება, რომელიც არღვევს მესამე პირთა ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს, რომელიც შეზღუდვის გარეშე მოიცავს ელექტრონული სახის გადმოსაწერი პროგრამებით არაკანონიერ სარგებლობას.

eMoney უფლებას იტოვებს, საკუთარი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წინამდებარე მომსახურების პირობებში, ან ვებგვერდზე განთავსებულ მისაღებ მომსახურებათა შორის განთავსებით გაზარდოს ან შეამციროს აღნიშნული აკრძალული ტრანზაქციების კატეგორიები.

12.2. მკაცრად აკრძალულია გადახდის განხორციელება ან მიღება იმ ფიზიკური ან იურიდიული პირისგან, რომელიც წარმოადგენს არალეგალური, აზარტულ თამაშობებთან დაკავშირებული მომსახურების პროვაიდერს, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს სპორტულ თამაშებზე უკანონოდ ფსონების მიღებას, პოკერს, და კაზინოს სხვა აზარტულ თამაშებს. ჩვენ უფლება გვაქვს ნებისმიერ დროს შევაჩეროთ, ან შეწყვიტოთ თქვენი eMoney ანგარიშის მოქმედება, უარი ვთქვათ ტრანზაქციის შესრულებაზე, ან უკან გამოვითხოვოთ განხორციელებული ტრანზაქცია იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი შინაგანი რწმენით თქვენ პირდაპირ ან არაპირდაპირ იყენებთ ან უკვე გამოიყენებთ თქვენი eMoney ანგარიში უკანონო აზარტულ თამაშობებში ან მასთან დაკავშირებულ მოქმედებებში ტრანზაქციის განსახორციელებლად. ჩვენ ასევე უფლება გვაქვს ამის შესახებ შევატყობინოთ შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს. ქვეყნებს, სადაც ონლაინ აზარტული თამაშობები ითვლება უკანონოდ, მიეკუთვნებიან ამერიკის შეერთებული შტატები, თურქეთი, ჩინეთი, მალაიზია და ისრაელი. აღნიშნული სია არ არის ამომწურავი და პასუხისმგებლობა იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი მომსახურება არ იქნას გამოყენებული ისეთი ტრანზაქციის განსახორციელებლად, რომელიც შესაბამისი იურისდიქციის მიხედვით შესაძლოა მიჩნეულ იქნას უკანონოდ, გეკისრებათ თქვენ.

12.3. თქვენ უფლება არ გაქვთ გახსნათ ან ისარგებლოთ eMoney ანგარიშით იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ცხოვრობთ ერთ-ერთ ქვემოთჩამოთვლილ ქვეყანაში: ავღანეთი, კუბა, ირანი, მიანმარი, ნიგერია, ჩრდილოეთ კორეა, სომალი, სუდანი, სირია ან იემენი. აღნიშნული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და ჩვენ უფლება გვაქვს ცალმხრივად ნებისმიერ დროს და

წინასწარი შეტყობინების გარეშე მივიღოთ გადაწყვეტილება სხვა ქვეყნებში ჩვენი მომსახურების შეწყვეტის ან შეზღუდვის შესახებ. ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, ნებისმიერ დროს შევაჩეროთ ან შევწყვიტოთ თქვენი eMoney ანგარიშის მოქმედება იმ შემთხვევაში, თუ გვაქვს გონივრული რწმენა, რომ აღნიშნული ქმედების განხორციელებას გვავალდებულებს კანონი, მთავრობის ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული რეკომენდაცია, რომელიც მიზანად ისახავს ფინანსური დანაშაულის თავიდან აცილებას.

12.4. თქვენ მკაცრად გეკრძალებათ თქვენი eMoney ანგარიშის გამოყენება ნებისმიერი უკანონო მიზნის მისაღწევად, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს თაღლითობასა და ფულის გათეთრებას. ნებისმიერი ქმედება, რომელსაც eMoney მიიჩნევს საეჭვოდ, მიმართული იქნება სამართალდამცავი ორგანოებისკენ. თქვენ გეკრძალებათ თქვენი eMoney ანგარიშის გამოყენება ბოროტი განზარაბებით, იმ მიზნით, რომ გვერდი აუაროთ ანგარიშის მოხმარების წესებზე არსებულ შეზღუდვებს, რომელიც დაწესებულია მერჩანტის მიერ მის მიერ მოწოდებულ მომსახურებაზე.

12.5. გარკვეულ ბიზნეს კატეგორიებთან დაკავშირებით, თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ გადახდა მხოლოდ eMoney-ს მიერ გაცემული თანხმობის შემთხვევაში. აღნიშნული კატეგორია შეზღუდვის გარეშე მოიცავს:

- ვალუტის გადაცვლა, ან ფულადი გზავნილების განხორციელება, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს bureaux de change, ვალუტის გაცვლას და სამგზავრო ფულის შექმნას;
- საექვლემოქმედო ან არაკომერციული ორგანიზაციების მიერ ნებისმიერი სახის შემოწირულობის ან გადახდების მიღება;
- თამბაქოს ნაწარმი;
- რეცეპტით გამოწერილი ნარკოტიკული საშუალებები;
- ბუნებრივი რესურსებით ვაჭრობა, როგორცაა ძვირფასეულობა, ძვირფასი ქვები და მეტალები;
- ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა ან მიწოდება, ან
- სადიეტო დანამატების და ალტერნატიული ჯანდაცვის პროდუქტების გაყიდვა ან მიწოდება;
- ჩვენს მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა ბიზნეს კატეგორია;

იმ შემთხვევაში თუ თქვენ გაქვთ ეჭვი იმასთან დაკავშირებით, მიეკუთვნება თუ არა თქვენი საქმიანობა ერთ-ერთ ზემოთხაზულ კატეგორიას, თქვენ ვალდებული ხართ დაუკავშირდეთ კლიენტთა მომსახურების ცენტრს. eMoney-ს უფლება აქვს აღნიშნულ ჩამონათვალს ცალმხრივად დაამატოს ბიზნეს კატეგორია წინამდებარე მომსახურების პირობებში ან ვებგვერდზე განთავსებულ მოხმარების პირობებში მისი განთავსების გზით.

12.6. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ განხორციელებთ, ან შეეცდებით განხორციელოთ ტრანზაქცია მე-12 პუნქტში მითითებული ამკრძალავი დებულებების დარღვევით, ან 12.5 პუნქტში გათვალისწინებული აუცილებელი თანხმობის გარეშე, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ:

- უკან გამოვიტხოვოთ განხორციელებული ტრანზაქცია, ან/და
- დავებუროთ ან შევაჩეროთ თქვენი eMoney ანგარიშის მოქმედება; ან/და
- ვაცნობოთ სამართალდამცავ ორგანოებს განხორციელებული ტრანზაქციის შესახებ; ან/და
- მოვიტხოვოთ თქვენგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება; და
- დაგაკისროთ ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდა 200 ლარამდე ოდენობით იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მივმართავთ ერთ-ერთ ზემოაღნიშნულ ღონისძიებას.

12.7. საქონლისა და მომსახურების გაყიდვის ან მიწოდების სანაცვლოდ თქვენს მიერ განხორციელებული ან მიღებული გადახდის კანონთან შესაბამისობის დადგენა არის თქვენი და არა eMoney-ს პასუხისმგებლობა. უბრალო ფაქტი, რომ ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა მიიღო eMoney-ს საშუალებით განხორციელებული გადახდა, არ წარმოადგენს იმის მინიშნებას, რომ მათ მიერ მიწოდებული საქონელი ან მომსახურება არის კანონიერი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ეჭვი გაქვთ მიწოდების ან შესყიდვის კანონიერებაზე, თქვენ ვალდებული ხართ შეწყვიტოთ გადახდის პროცესი.

### 13. თანხის განაღდება

13.1. თქვენ უფლება გაქვთ ნებისმიერ დროს მოითხოვოთ თქვენს eMoney ანგარიშზე არსებული მთლიანი თანხის ან მისი ნაწილის განაღდება. ამის გასაკეთებლად თქვენ უნდა მიმართოთ ქვემოთხაზულ ერთ-ერთ ან რამდენიმე მეთოდს: ა) ვებგვერდის საშუალებით შეხვიდეთ თქვენს eMoney ანგარიშზე და განათავსოთ თანხის განაღდების მოთხოვნა; ბ) მიაკითხოთ ბანკის ნებისმიერ ფილიალს, ან სხვა ნებისმიერ ბანკს, რომელსაც შეუძლია თქვენთვის შესაბამისი მომსახურების შემოთავაზება; გ) იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მოახდინეთ თქვენი eMoney ანგარიშის Pay ანგარიშ(ებ)თან დაკავშირება, მომსახურების საკომისიოს გარეშე გადარიცხვით კუთვნილი თანხა Pay ანგარიშ(ებ)ზე, მასთან დაკავშირებული

ქვეანგარიშების ჩათვლით (თუმცა ამ შემთხვევაში, შესაბამისი პირობების არსებობისას დაგვეკისრებათ უცხოური ვალუტის კონვერტაციისთვის დადგენილი საკომისიო); ან დ) გაანადღოთ თანხები ბანკის ბანკომატის საშუალებით, იმ შემთხვევაში თუ თქვენ ფლობთ საქართველოს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემულ ID ბარათს. თანხის განდების მეთოდები წარმოადგენს გადახდის მომსახურებას, რომლის პროვაიდერსაც წარმოადგენს ბანკი და/ან მესამე პირი, რომელიც ასევე წარმოადგენს ფინანსურ ინსტიტუტს (მაგალითად ბანკი, რომელშიც თქვენ ფლობთ ანგარიშს). eMoney არ იძლევა გარანტიას თანხის განადების რომელიმე კონკრეტულ მეთოდზე წვდომაზე და უფლება აქვს ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომი გახადოს, შეცვალოს ან შეწყვიტოს კონკრეტული გადახდის მეთოდის ფუნქციონირება მე-18 პუნქტში გადმოცემული პროცედურის დაუცველად, იმ პირობით, რომ თქვენთვის ხელმისაწვდომი იქნება თანხის განადების ერთ-ერთი მეთოდი მაინც. როდესაც თქვენ მიიღებთ გასანადღებელ თანხას გადახდის მომსახურების პროვაიდერის ჩარევის შედეგად (მაგალითად ბანკი, სადაც თქვენ ფლობთ ანგარიშს), eMoney იხსნის პასუხისმგებლობას თანხის განადდებაზე იმ მომენტიდან, როდესაც განადღებული თანხა მიღებულ იქნა გადახდის მომსახურების პროვაიდერის მიერ.

13.2. თქვენი eMoney ანგარიში შესაძლებელია დაექვემდებაროს თანხის განადების გარკვეულ შეზღუდვებს. როდესაც აღნიშნული შეზღუდვები მოქმედებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ისინი შესაძლოა შეიცვალოს იქიდან გამომდინარე, თუ რა ტიპის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ვფლობთ ჩვენ თქვენზე. თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს იხილოთ დაწესებული შეზღუდვები თქვენი ანგარიშის პარამეტრებში. თქვენს eMoney ანგარიშზე თანხის შეტანამდე თქვენ ვალდებული ხართ დარწმუნდეთ, რომ თანხის განადებისა და გახარჯვისთვის დაწესებული შეზღუდვები მისადაგება განადღებისა და გახარჯვის თქვენსავე მოთხოვნებს, ვინაიდან ჩვენ არ გვაქვს კანონიერი უფლება, ნება დაგართოთ, რომ თქვენ მოახდინოთ აღნიშნულ შეზღუდვების ფარგლებში თანხების გადახარჯვა..

13.3. იმ შემთხვევაში, თუ თქვენს მიერ მოთხოვნილი გასანადღებელი თანხა აღემატება თქვენზე დაწესებულ შეზღუდვებს, ჩვენ უფლება გვაქვს არ დავაკმაყოფილოთ თქვენი მოთხოვნა და ამის ნაცვლად, თქვენი ვინაობის დადგენის მიზნით, წინასწარ მოგთხოვთ პირადობისა და მისამართის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა თანხის განადღების ნებართვის მიღებამდე, ან მოგთხოვთ ჩვენთან სხვაგვარად თანამშრომლობა თქვენი პირადობის მონაცემების შესწავლის მიზნით.

13.4. თანხის განადღება წინამდებარე პირობების მე-18 მუხლის მიხედვით, ექვემდებარება საკომისიოს გადახდასა და ვალუტის კონვერტაციას, რისი ოდენობაც დამოკიდებულია თქვენს მიერ არჩეულ გადახდის მეთოდზე და გადახდის ინსტრუმენტზე.

13.5. თანხის განადღების მიზნებისთვის, eMoney წარმოადგენს გადამხდელს და არა გადახდის მომსახურების პროვაიდერს.

13.6. თქვენ ვალდებულებას იღებთ, რომ არ განახორციელოთ თანხის გადატანის ოპერაციას იმ ანგარიშზე ან გადახდის სხვა საშუალებაზე, რომელიც თქვენ არ გეკუთვნით. აღნიშნული დებულების დარღვევას ჩვენ ვეკიდებით სრული სერიოზულობით და ნებისმიერ ქმედებას, რომელიც მიმართულია მსგავს ანგარიშზე თანხის გადატანისკენ ჩვენ ვაფასებთ თაღლითობად. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიმართ წამოყენებულ იქნა მოთხოვნა, გამოვიკვლიოთ ისეთი გადახდის საშუალებიდან თანხის ჩარიცხვის ფაქტი, რომლის იდენტიფიცირებული მფლობელიც თქვენ არ ხართ, ჩვენ უფლება გვაქვს დაგაკისროთ ადმინისტრაციული გადასახდელი 50 ლარის ოდენობით, ისე, რომ არ ვკარგავთ უფლებას, დამატებით მოვითხოვოთ ზიანის ანაზღაურება.

13.7. თქვენ ვალდებული ხართ დარწმუნდეთ, რომ გადახდის დეტალები რომელსაც იყენებთ თანხის გასანადღებლად, არის სწორი და სრულყოფილი. eMoney პასუხს არ აგებს იმ შემთხვევაზე, თუ თქვენს მიერ არასწორად მითითებული გადახდის დეტალების გამო გასანადღებელი თანხა გადაირიცხება გადახდის სხვა(მცდარი) საშუალებაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც თანხა გადაგაქვთ საბანკო ანგარიშზე, თქვენ ვალდებული ხართ დარწმუნდეთ, რომ ანგარიშის ნომერი, იბანი და/ან სვიფტი/ბიკი არის სწორად მითითებული. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გადაიტანეთ თანხა მცდარ ანგარიშზე, თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ აღნიშნული თანხის უკან გამოთხოვაში ჩვენი დახმარება. ამის სანაცვლოდ, ჩვენ უფლება გვაქვს დაგაკისროთ ადმინისტრაციული გადასახდელი 10 ლარის ოდენობით, თუმცა არ ვიძლევით გარანტიას იმის თაობაზე, რომ თანხის უკან დაბრუნების მცდელობა წარმატებული აღმოჩნდება.

#### **14. eMoney-ს ესქრო მომსახურება**

14.1. eMoney-ს ანგარიშებს შორის გადახდები შესაძლოა განხორციელდეს ჩვენი ესქრო მომსახურების პირობების დაცვით. აღნიშნული თქვენ უფლებას გაძლევთ, განახორციელოთ გადახდა თანხის მიმღების მიმართ, თქვენს მიერ ტრანზაქციის შემდგომი დადასტურების პირობით.

14.2. ესქრო სერვისი ექვემდებარება ესქროს მომსახურების პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გადაწყვეტთ განახორციელოთ გადახდა ესქრო მომსახურების გამოყენებით, წინამდებარე მომსახურების პირობებთან ერთად თქვენზე ასევე გავრცელდება ესქრო სერვისის მომსახურების პირობები.

**15. სესხის აღება eMoney საფულეზე.**

თქვენ შეგიძლიათ eMoney ანგარიში/საფულე გამოიყენოთ სესხის მისაღებად სხვადასხვა (eMoney-ს პარტნიორი) კომპანიებისგან.

სესხის მიღების რამოდენიმე გზა არსებობს, მათ შორის და არამხოლოდ: პარტნიორი კომპანიის ვებგვერდზე შესაბამის განაცხადში eMoney საფულის ანგარიშის ნომრის მითითებით, საფულიდან სასურველი კომპანიის არჩევისა და ამ კომპანიის ვებგვერდზე გადამისამართების გზით, eMoney-ს USSD მენიუ - MyCash-ის მეშვეობით შესაბამისი კომპანიის არჩევის გზით.

სესხის მიღება სასესხო კომპანიის ვებგვერდზე განაცხადში საფულის ანგარიშის ნომრის მითითებით. სესხის თანხის საფულის ბალანსზე მისაღებად აუცილებელია სასესხო კომპანიის ვებგვერდზე ან სხვა შესაბამის ინტერფეისში (მაგალითად მობილური აპლიკაციები) თანხის მიღების ადგილში ან/და მომხმარებლის ანგარიშის ველში მიუღითოთ თქვენი eMoney საფულის ანგარიშის ნომერი. სასესხო კომპანიის წესებიდან გამომდინარე (რომელიც ამავე კომპანიის მიერ არის შემუშავებული) შესაძლებელია მოხდეს საფულის ვერიფიკაციის სტატუსის გადამოწმება eMoney-ს სისტემაში. სესხის დამტკიცების შემთხვევაში თანხა ჩაგერიცხებათ თქვენს მიერ მითითებულ საფულის ანგარიშზე.

სესხის მიღება საფულიდან სასესხო კომპანიის შესაბამის გვერდზე (ვებგვერდი, მობილური აპლიკაცია) გადამისამართების გზით. აღნიშნული სერვისით სარგებლობისათვის აუცილებელია ეწვიოთ eMoney-ს შესაბამის გვერდს (მათშორის და არამხოლოდ: საფულეში ავტორიზაციის შემდეგ, ვებგვერდზე ან მობილურ აპლიკაციებში, დააჭიროთ ღილაკს „სესხის აღება“, ეწვიოთ მისამართს: [credit.eMoney.ge](http://credit.eMoney.ge), [loan.eMoney.ge](http://loan.eMoney.ge), ...), აირჩიოთ სასურველი კომპანიის შესაბამისი ღილაკი, დააჭიროთ სესხის აღებას, რომლის შემდგომ გადამისამართდებით არჩეული კომპანიის შესაბამის გვერდზე. გადამისამართებისას შესაბამის კომპანიას გადაეცემა თქვენი მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, რომლებიც მითითებული გაქვთ თქვენს პარამეტრებში (გადაცემა არ ხდება ტრანზაქციული ისტორიის და ანგარიშებზე არსებული ნაშთების). გადაცემული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, სასესხო კომპანიის მიერ სესხის დამტკიცების შემთხვევაში, თანხა ჩაგერიცხებათ თქვენს eMoney საფულის ანგარიშზე. სასესხო კომპანიების ჩამონათვალი მითითებულია ვებგვერდზე [www.eMoney.ge](http://www.eMoney.ge), ჩამონათვალი შესაძლებელია დროდადრო შეიცვალოს. სესხის აღება eMoney-ს USSD მენიუ MyCash-ის მეშვეობით. აღნიშნულ მენიუში შესასვლელად საჭიროა ჯგოსელის, მაგათის ან ბილანის ქსელში ჩართული ტელეფონიდან აკრიბოთ კომბინაცია \*196#, მენიუში აირჩიოთ სასურველი სასესხო კომპანია (მაგალითად: eLoan, EasyMoney...), მიუთითოთ თქვენი პირადი ნომერი, დაეთანხმოთ პირობებს. აღნიშნულ პირობებზე თანხმობით თქვენ თანხმობას აცხადებთ, რომ eMoney-მ გადასცეს, ხოლო სასესხო კომპანიამ დააბეზოს თქვენი პერსონალური მონაცემები მე-19 მუხლში აღწერილი მიზნებისათვის. მათშორის და არამარტო: მარკეტინგული, საკუთარი სერვისებით სარგებლობის შემოთავაზების, მოთხოვნილი სერვისის (მათშორის და არამარტო: სესხის მიღების განაცხადი) შეუფერხებლად მოწოდების და ამ სერვისისთვის აუცილებელი კომპანიის პოლიტიკით განსაზღვრული ქმედებებისათვის (მათშორის და არამარტო: სასესხო კომპანიის მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება აღნიშნული პირობების დანართში მითითებულ მხარეებთან). სესხის დამტკიცების შემთხვევაში თანხას მიიღებთ თქვენს მიერ მოთხოვნილი არხით/საშუალებით.

**16. eConnect.**

eConnect (იგივე eMoney Connect, eMoney Checkout) არის eMoney-ს ერთიანი ავტორიზაციისა და გადახდის საშუალება. eConnect-ის სისტემაში ჩართულია სხვადასხვა ვებგვერდები (რომელთა ჩამონათვალი განთავსებულია ვებგვერდზე [www.eMoney.ge](http://www.eMoney.ge) და რომელთა ჩამონათვალი/შემადგენლობა შეიძლება დროდადრო შეიცვალოს. eConnect-ის მეშვეობით თქვენ შეგიძლიათ eMoney-ს მომხმარებლის სახელითა და პაროლით (ან/და სხვა ავტორიზაციის მონაცემებით/საშუალებებით) გაიაროთ ავტორიზაცია სისტემაში ჩართულ ვებგვერდებზე. ავტორიზაციის გავლის შემდეგ შეგიძლიათ განახორციელოთ ვებგვერდზე ანგარიშსწორება თქვენთვის eMoney-ში ხელმისაწვდომი გადახდის მეთოდებითა და ანგარიშებით. eConnect-ით ავტორიზაციისას თქვენი პერსონალური მონაცემები გადაეცემა იმ კონკრეტულ ვებგვერდს რომელზეც ახედნთ ავტორიზაციას. აღნიშნულ პირობებზე დათანხმებით თქვენ ასევე თანხმობას აცხადებთ მონაცემების გადაცემაზე და შემდეგ მონაცემების მიმღების მიერ თქვენი მონაცემების დამუშავებაზე, გადაცემის მიზნები აღწერილია მე-19 მუხლში.



eConnect-ის მეშვეობით, eConnect-ის სისტემაში ჩართული ვებგვერდებიდან შეგიძლიათ გაიაროთ რეგისტრაცია eMoney-ში. eConnect-ის სისტემაში ჩართული ნებისმიერი ვებგვერდიდან რეგისტრაციით თქვენ სარგებლობთ იგივე უფლებებით რითიც უშუალოდ [www.eMoney.ge](http://www.eMoney.ge)-ზე, ან/და eMoney-ში რეგისტრაციის ნებისმიერ არხში (მათ შორის და არამარტო: eMoney-ს მობილური აპლიკაციები, MyCash მენიუ...) რეგისტრაციით შეგიძლიათ ისარგებლოთ.

### 17. MyCash – eMoney-ს USSD მენიუ

MyCash მენიუ წარმოადგენს eMoney-ს ერთერთ სამომხმარებლო ინტერფეისს. MyCash მენიუში შესვლა შეგიძლიათ ჯგოსელის, მაგთისა და ბილანის ქსელში ჩართული ნებისმიერი ტელეფონიდან \*196# კომბინაციის აკრებით.

MyCash მენიუდან შეგიძლიათ: დარეგისტრირდეთ eMoney-ში, აილოთ სესხი (გააკეთოთ სესხის განაცხადი) ჩვენი პარტნიორი კომპანიებისგან, გადაიხადოთ სხვადასხვა სერვისების საფასური/შეავსოთ სხვადასხვა საგადახდო პროვაიდერებთან ბალანსები, შეამოწმოთ თქვენი საფულის ბალანსი, შეცვალოთ პინკოდი.

MyCash მენიუში ხელმისაწვდომი მომსახურებების სია შესაძლოა დროდადრო შეიცვალოს. MyCash მენიუთი სარგებლობისას თქვენზე გავრცელდება ის პირობები, ლიმიტები რომლებიც მითითებულია აღნიშნული პირობების დანართ #1-ში.

### 18. საკომისიოები

18.1. წინამდებარე პირობებში მითითებული საკომისიოები მოქმედებს eMoney ანგარიშის პირადი მიზნებისთვის გამოყენების დროს.

18.2. ტრანზაქციასთან დაკავშირებული საკომისიოები თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ დროს იხილოთ ჩვენს ვებგვერდზე საკომისიოს განყოფილებაში. eMoney ანგარიშის კომერციული მიზნებისთვის გამოყენების შემთხვევაში მოქმედებს დამატებითი საკომისიოები. თქვენ უნდა ამოებუდეთ ან გადმოწეროთ და შეინახოთ საკომისიოების ნაწილისა და წინამდებარე მომსახურების პირობების თითო ეგზემპლარი. საკომისიოების ოდენობა ექვემდებარება ცვლილებას მე-18 მუხლის შესაბამისად. შესაბამისი პირობების არსებობისას, ჩვენ უფლება გვაქვს დავადგინოთ დამატებითი საკომისიოები 8.3, 8.7, 11.6, 12.6 და 12.7 პუნქტების შესაბამისად.

18.3. თქვენს მიერ განხორციელებული ტრანზაქციები შესაძლებელია დაექვემდებაროს ვალუტის კონვერტაციას. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გსურთ თქვენი eMoney ანგარიშიდან განახორციელოთ გადახდა eMoney-ს სხვა ანგარიშზე, რომელიც გამოხატულია განსხვავებულ ვალუტაში, თქვენ უფლება გექვთ განახორციელოთ გადახდა თქვენი eMoney ანგარიშის შესაბამის ვალუტაში, ან სხვა ნებისმიერ ვალუტაში. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გადარიცხავთ თანხას თქვენი eMoney ანგარიშის შესაბამის ვალუტაში, თანხის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს ვალუტის კონვერტაციისთვის დადგენილი საკომისიო მისი eMoney ანგარიშის შესაბამის ვალუტაში. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ განახორციელებთ გადახდას თანხის მიმღების eMoney ანგარიშის შესაბამის ვალუტაში, თქვენ ვალდებული ხართ გადაიხადოთ ვალუტის კონვერტაციის საკომისიო, გადახდის შესაბამის ვალუტაში. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გადახდის განსახორციელებლად აირჩევთ ვალუტას რომელიც არ ემთხვევა არც თქვენი და არც თანხის მიმღების eMoney ანგარიშის ვალუტას, თქვენ ვალდებული ხართ გადაიხადოთ ვალუტის კონვერტაციის საკომისიო თქვენი eMoney ანგარიშის შესაბამის ვალუტაში, ხოლო თანხის მიმღებმა მისი eMoney ანგარიშის შესაბამის ვალუტაში.

18.4. ვალუტის კონვერტაციის ყოველ ჯერზე, eMoney გამოიყენებს ვალუტის გაცვლის კურსს, რომელიც იმ მომენტში მოქმედებს ზანკში. ნებისმიერი სხვა ელექტრონული საფულიდან ან ანგარიშიდან მიღებული, ან მათი მიმართულებით განხორციელებული თანხის კონვერტაციის შემთხვევაში, ვალუტის გაცვლის კურსი განისაზღვრება eMoney-ს მიერ. ჩვენ უფლება გვაქვს დამატებით გამოვიყენოთ უცხოური ვალუტის გაცვლის საკომისიო პროცენტის სახით, რომელიც გამოიყენება ტრანზაქციის საკომისიოსგან დამატებით და ასევე ხელმისაწვდომია ვებგვერდზე საკომისიოების განყოფილებაში.

18.5. ჩვენს მიერ დადგენილი საკომისიოები განსაზღვრულია ან შესასრულებელი ტრანზაქციის თანხის პროცენტის სახით, ან მყარად დადგენილი თანხის სახით ლარში. როდესაც დადგენილი საკომისიო თანხა გამოხატულია ლარის გარდა სხვა ვალუტაში, ეს ატარებს მხოლოდ საინფორმაციო ხასიათს. როდესაც საკომისიოს თანხა გამოიქვითება ანგარიშზე არსებული ბალანსიდან, ან ტრანზაქცია განხორციელებულია უცხოურ ვალუტაში, ლარის საკომისიო დაკონვერტირდება შესაბამის ვალუტაში იმ მომენტში არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად და შემდეგ ჩამოიჭრება. ჩვენ არ გამოვიყენებთ უცხოური ვალუტის გადაცვლის საკომისიოს ვალუტის გადაცვლის საკომისიოებზე.

18.6. თქვენს მიერ გადასახდელი საკომისიოები ჩამოიჭრება თქვენი eMoney ანგარიშზე არსებული ბალანსიდან. ტრანზაქციის საკომისიოს გადახდა დაგეგმვით ადნიშნული ტრანზაქციის განხორციელების შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ თქვენს ანგარიშზე არსებული ბალანსი არ არის საკმარისი საკომისიოს სრულად დასაფარად, ჩვენ უფლება გვაქვს უარი ვთქვათ ტრანზაქციის განხორციელებაზე. თანხის უკან დაბრუნების ან ჩარჯბექის საკომისიო გამოიქვითება ოპერაციის განხორციელებისას.

18.7. იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრა გამოიწვევს ანგარიშზე უარყოფითი ბალანსის წარმოქმნას, თქვენ ვალდებული ხართ, დაფაროთ აღნიშნული უარყოფითი ბალანსი eMoney ანგარიშზე შესაბამის ოდენობის თანხის შეტანის გზით. აღნიშნული პირობის შეუსრულებლობა განიხილება წინამდებარე მომსახურების პირობების დარღვევად. უარყოფითი ბალანსის დაფარვის ვალდებულება ძალაშია დაუყოვნებლივ და შეტყობინების გარეშე, თუმცა ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, ნებისმიერ დროს გამოვიგზავნოთ შემახსენებელი შეტყობინებები, ან მივმართოთ ვალის ამოღების სხვა ღონისძიებას, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს აღსრულების ორგანოებისთვის ან ორგანიზაციებისთვის საქმის გადაცემას, ან სასამართლოს წინაშე მოთხოვნის დაყენებას. ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, დაგაკისროთ გადასახდელი რომელიც დაგვეკისრა ვალდებულების შესრულების, ან აღსრულების ღონისძიებასთან დაკავშირებით.

**19. კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემები**

19.1. მონაცემების დამუშავება. კლიენტისათვის ცნობილია და ეთანხმება, რომ eMoney ანგარიშის მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, eMoney უფლებამოსილია, წინამდებარე პირობების 16.8. პუნქტში მოცემული მიზნებით, განახორციელოს კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის კლიენტის პერსონალური მონაცემების, დამუშავება.

19.2. eMoney-ს მიერ მონაცემთა დამუშავება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, კერძოდ, მათ კლიენტისაგან ან წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი მესამე პირ(ებ)ისაგან მოპოვებას, შეგროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას ან გამჟღავნებას (მათ შორის ინფორმაციის გამოთხოვას ან/და გამჟღავნებას წინამდებარე პირობებში მოცემული მესამე პირ(ებ)ისთვის, რომლებიც შემდგომში განახორციელებენ მონაცემთა დამუშავებას წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მიზნით) მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფებას ან კომბინაციას, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას.

19.3. eMoney-ს ან/და წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი მესამე პირების მიერ ხორციელდება კლიენტის ან მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის შესახებ არსებული ინფორმაციის დამუშავება (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ბანკის შეკვეთით უფლებამოსილი პირების მიერ) ან/და წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი მესამე პირებისათვის ამ ინფორმაციის გადაცემა კონკრეტული მიზნებისათვის, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი პერსონალური მონაცემებით:

- (ა) კლიენტის სახელი და გვარი;
- (ბ) პირადი ნომერი ან/და მისი ელექტრონული პირადობის მოწმობის უნიკალური მახასიათებლები;
- (გ) რეგისტრირებული ან/და ფაქტიური საცხოვრებელი მისამართი;
- (დ) ტელეფონის/მობილურის ნომერი;
- (ე) ელექტრონული ფოსტის მისამართი;

(ვ) საკრედიტო ისტორია (როგორც ნეგატიური ასევე პოზიტიური, მათ შორის მიმდინარე ან/და წარსულში არსებული დავალიანების, სესხებისა და მათი დაფარვის დეტალები) და გადახდისუნარიანობის სტატუსი (კლიენტის გადახდისუნარიანობის შეფასების ქულა, მისი კრიტერიუმები ან/და მეთოდოლოგია);

(ზ) კლიენტის საკუთრებაში ან/და მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ნივთები და მათი მახასიათებლები, ასევე სხვა აქტივები;

(თ) დამსაქმებლის მონაცემები, აგრეთვე ინფორმაცია დასაქმების პირობების შესახებ (დასაქმების ადგილი, ხელფასი, სამუშაო გრაფიკი და სხვა);

(ი) ბანკში და საქართველოში მოქმედ სხვა კომერციულ ბანკებში ანგარიშ(ებ)ის შესახებ ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ ანგარიშებზე კონკრეტული დროისა და თარიღისათვის არსებული ნაშთები, და კონკრეტულ პერიოდში ამ ანგარიშებზე განხორციელებული ტრანზაქციები;

(კ) ბანკის ან/და საქართველოში მოქმედი სხვა კომერციული ბანკების მიერ ემიტირებული ბარათების და შესაბამისი საბარათო ანგარიშების ნებისმიერი მონაცემები, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ ბარათებზე კონკრეტული დროისა და თარიღისთვის არსებული ნაშთები და კონკრეტულ პერიოდში ამ ბარათებზე განხორციელებული ტრანზაქციები, ასევე მათი წვდომის კოდები;

(ლ) სხვადასხვა საგადახდო პროვაიდერებთან დაფიქსირებული კლიენტის ანგარიშის/აბონენტის მონაცემები (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ანგარიშის/აბონენტის ნომერი, მისამართი, სააბონენტო ანგარიშზე კონკრეტული დროისა და თარიღისათვის არსებული ნაშთი ან/და დავალიანება, სააბონენტო ანგარიშზე განხორციელებული ტრანზაქციები ან/და ბალანსის შევსება ან/და დავალიანების დაფარვა, და სხვა),

(მ) სხვადასხვა ელექტრონულ არხებში ან/და ინტერნეტ სივრცეში გამჟღავნებული ნებისმიერი მონაცემი (მათ შორის და არამარტო მზა ჩანაწერები ე.წ. cookies და სხვა) და კლიენტის ან/და მას მიერ მითითებული მესამე პირ(ებ)ის აქტივობა აღნიშნულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ასეთ არხ(ებ)ში დალოგინებისა და ჩატარებული ქმედებებისა თუ ტრანზაქციების ისტორია);

(ნ) ინფორმაცია ოჯახის წევრების, ნათესავების ან მისამართზე მცხოვრები სხვა პირების შესახებ;

(ო) ნებისმიერი სხვა მონაცემი, რომელიც უკავშირდება კლიენტს და რის შედეგადაც შესაძლებელია კლიენტის იდენტიფიცირება ან/და დახასიათება ან/და სხვა კლიენტებთან მისი დაჯგუფება პირის ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებითა თუ ზემოთ მოყვანილ ქვე-პუნქტებში ჩამოთვლილი ან ნაგულისხმები ტრანზაქციული აქტივობით.

19.4. თუ კლიენტი, მომსახურების მიღების მიზნით, eMoney-ს აწვდის მესამე პირების (დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები პირი, ოჯახის წევრები, დამსაქმებელი და სხვა) შესახებ ინფორმაციას, მათ შორის და არამარტო ინფორმაციას პერსონალური მონაცემების, გადახდისუნარიანობის, ქონებრივი მდგომარეობის შესახებ და სხვა, ხოლო ბანკი ახორციელებს აღნიშნული ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების, დამუშავებას საბანკო მომსახურების შესრულებისთვის ან/და მარკეტინგული მიზნით, კლიენტი თავად არის ვალდებული მოპოვებული ჰქონდეს აღნიშნულ პირთა თანხმობა, მათი პერსონალური მონაცემების ბანკის მიერ დამუშავებაზე. კლიენტის მიერ ამგვარი ინფორმაციის ბანკისთვის (ან მისი უფლებამოსილი პირისთვის) მიწოდების ფაქტი გულისხმობს კლიენტის მიერ ამ პიროვნებისგან თანხმობის მოპოვებას და აღარ საჭიროებს ბანკის მიერ ასეთი დასტურის მოპოვებას. კლიენტი თავად არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა მიადგენს ბანკს კლიენტის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. კლიენტი თანახმაა აუნაზღაუროს და დაიცვას ბანკი ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც ბანკი გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

19.5. eMoney-ს მიერ ელექტრონულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ვებ-ბრაუზერი, eMoney-ს ვებ-გვერდი, eConnect- ერთიანი გადახდისა და ავტორიზაციის სისტემაში ჩართული ვებგვერდები, eMoney-ს მობილური აპლიკაციები, ან/დამონაცემთა გადაცემისა და მიღების სხვა ტექნიკური საშუალებები და არხები) კლიენტის შესახებ მონაცემების დამუშავება, ასევე მოიცავს კლიენტის აქტივობის ჩაწერას (მაგ. ელექტრონულ არხით სარგებლობისას კლიენტის ადგილსამყოფელის იდენტიფიცირება, მიების ველში დაფიქსირებული მონაცემების აღწერა და ანალიზი, პროდუქციის არჩევანის სიხშირის ან/და სხვა ნებისმიერ სტატისტიკურ მონაცემის ჩაწერა და მისი ანალიზი) ან/და კლიენტის მიერ დაფიქსირებული სხვა მონაცემების (მაგ. კლიენტის ან/და მესამე პირთა საკონტაქტო მონაცემები) გამოყენებას.

19.6. მონაცემთა დამუშავების საფუძველი. კლიენტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ eMoney ანგარიშით სარგებლობის პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, eMoney-ს მიერ კლიენტის ან მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის მონაცემების (მათ შორის პერსონალური მონაცემების) დამუშავება აუცილებელია:

16.6.1 კლიენტის განცხადების განსახილველად ან/და მისთვის მომსახურების გასაწევად;

16.6.2 ბანკის ან/და მესამე პირ(ებ)ის კანონიერი ინტერესების დასაცავად;

16.6.3 ბანკის მიერ კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

16.6.4 კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

19.7. თუ მონაცემთა დამუშავებისთვის, კანონმდებლობა ითხოვს კლიენტის თანხმობის არსებობას, აღნიშნულ თანხმობად ჩათვლება ნებისმიერი ელექტრონული ან/და არაელექტრონული ფორმით გაკეთებული კლიენტის განაცხადი, რომლითაც კლიენტი ეთანხმება წინამდებარე პირობებს და რომელიც ამ განაცხადთან ერთად წარმოადგენს ერთიან ხელშეკრულებას.

19.8. მონაცემების დამუშავების მიზანი. eMoney-ს ან/და წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი მესამე პირ(ებ)ის მიერ კლიენტის ან მის მიერ მითითებული მესამე პირების პერსონალური მონაცემების დამუშავება შესაძლებელია განხორციელდეს სხვა და სხვა მიზნით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე:

19.8.1 eMoney ანგარიშით მომსახურების სრულად და ჯეროვნად განხორციელებისთვის;

19.8.2 კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ინფორმაციის აუდიტორული კომპანიების, პოტენციური ცესიონერის ან ცედენტის, მარეგულირებლის, მკონტროლებლის ან სხვა ზედამხედველი ორგანოსათვის ხელმისაწვდომობისთვის;

19.8.3 ბანკის მომსახურების გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის, რა დროსაც ბანკი ახორციელებს კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის საკრედიტო ისტორიის ანალიზს, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;

- 19.8.4 სხვადასხვა ანგარიშების, კვლევების ან/და პრეზენტაციების მოსამზადებლად და სადემონსტრაციოდ;
- 19.8.5 უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე თაღლითობის, ფულის გათეთრების ან სხვა დანაშაულის გამოსავლენად ან/და პრევენციისთვის;
- 19.8.6 არსებული კრედიტის ფარგლებში, კრედიტის თანხის ოდენობის გაზრდის, ან/და კრედიტის სხვა პირობების (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, მისი ვადიანობისა და საპროცენტის განაკვეთის) ცვლილების შეთავაზებისთვის, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის კლიენტის საკრედიტო ისტორიის გადამოწმება წამოადგენს;
- 19.8.7 ახალი ან/და დამატებითი საკრედიტო ან არასაკრედიტო პროდუქტების შეთავაზების მიზნით, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის კლიენტის საკრედიტო ისტორიის გადამოწმება წამოადგენს;
- 19.8.8 მარკეტინგული მიზნით, რაც გულისხმობს, როგორც eMoney-ს, ასევე წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი მესამე პირების მიერ სხვადასხვა პროდუქტების/მომსახურების პერიოდულ შეთავაზებას.
- 19.9. ინფორმაციის წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი მესამე პირ(ებ)ისთვის გადაცემა/მესამე პირ(ებ)ისაგან ინფორმაციის გამოთხოვა. იმისათვის, რომ eMoney-მ სრულად და ჯეროვნად განახორციელოს კლიენტის მომსახურება, მონაცემთა დამუშავების ფარგლებში აუცილებელია მონაცემების წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი მესამე პირებისთვის გადაცემა ან/და თავად ასეთი პირ(ებ)ისაგან კლიენტის ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირების შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების გამოთხოვა.
- 19.10. eMoney ანგარიშით მომსახურების მიღების და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, კლიენტი eMoney-ს ანიჭებს გამოუთხოვად უფლებას, კლიენტის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე:
  - 19.10.1 eMoney-მ კანონმდებლობით დადგენილი წესით, მრავალჯერადად მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, eMoney-სთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები.
  - 19.10.2 საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრული და სს „კრედიტინფო საქართველოსთან“ ან/და სხვა მსგავსი საქმიანობის მქონე სუბიექტთან (საიდენტიფიკაციო კოდი: 204470740, შემდგომში - „კრედიტინფო“), შეთანხმებული წესით, ფორმით და ვადებში კრედიტინფოს მიაწოდოს ან/და გამოითხოვოს კრედიტინფოსგან ინფორმაცია კლიენტის ან/და ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელის შესახებ, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: კლიენტის ან/და კლიენტის მიერ დასახელებული პირების (ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები და სხვა) საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე ვალის წარმოშობის საფუძველს, ისტორია, ოდენობას, მიზნობრიობას, დარიცხულ პროცენტსა და სხვა პირობებს, მოქმედების ვადას, კლიენტის ან/და კლიენტის მიერ დასახელებული პირების (ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები და სხვა) მიერ დავალიანებასთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, ხოლო სასამართლო/საარბიტრაჟო დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლო/საარბიტრაჟო სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს;
  - 19.10.3 მისცეს თანხმობა კრედიტინფოს, რომ eMoney-ს მიერ კრედიტინფოსთვის მიწოდებული კლიენტების ან/და კლიენტის მიერ დასახელებული პირების (ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები და სხვა) მონაცემები კრედიტინფომ გადასცეს მესამე პირებს, იმ პირობით, რომ ბანკის მიერ მიწოდებული კლიენტის ან/და კლიენტის მიერ დასახელებული პირების (ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები და სხვა) მონაცემების მიწოდება მოხდება იმ პირობისთვის, რომლებიც თავადაც აწვდიან კრედიტინფოს აღნიშნული ხასიათის მონაცემებს და რომელთაც გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება კრედიტინფოსთან;
  - 19.10.4 მიიღოს, მიიღოს და გამოიყენოს კრედიტინფოს მონაცემთა ბაზაში არსებული კლიენტის ან/და კლიენტის მიერ დასახელებული პირების (ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები და სხვა) მონაცემები.
  - 19.10.5 eMoney-მ კანონმდებლობით დადგენილი წესით, მრავალჯერადად მესამე პირებს (მათ შორის და არამარტო, დაკავშირებულ პირ(ებ)ს, მაკონტროლებელ/საზედამხედველო ორგანოებს, აუდიტორებს, პოტენციურ ცესიონერებს და სხვა) გადასცეს ან/და აღნიშნული მესამე პირებისაგან მიიღოს, eMoney-სთვის აუცილებელი, კლიენტის ან/და კლიენტის მიერ დასახელებული პირების (ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები და სხვა) მონაცემები (მათ შორის და არამარტო პერსონალური მონაცემები, ანგარიშებზე ნაშთები ან/და დავალიანება, ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია და სხვა).
- 19.11 პირდაპირი მარკეტინგი. კლიენტი ანიჭებს eMoney-ს უფლებამოსილებას, eMoney-ში დაფიქსირებულ კლიენტის ტელეფონის ნომერზე, ელექტრონული ფოსტის ან სხვა საკონტაქტო მისამართზე, eMoney-ს მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, განხორციელებდეს მოკლე ტექსტური, ხმოვანი ან/და სხვა სახის სარეკლამო შეტყობინებების გაზავნა



(პირდაპირი მარკეტინგი), მანამ სანამ eMoney კლიენტისგან არ მიიღებს სხვაგვარ მითითებას, მხარეთა შორის შეთანხმებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით .

19.12 კლიენტი ანიჭებს eMoney-ს უფლებამოსილებას, სხვადასხვა მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით, eMoney-მ გადასცეს ან/და გაუმჟღავნოს eMoney-ს ხელთ არსებული კლიენტის პერსონალური მონაცემები ან სხვა კონფიდენციალური ინფორმაცია eMoney-ს დაკავშირებულ პირ(ებ)ს. ამასთან, კლიენტი უფლებამოსილი იქნება მოსთხოვოს დაკავშირებულ პირ(ებ)ს პირდაპირი მარკეტინგის შეწყვეტა, მხარეთა შორის შეთანხმებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით.

19.13 ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, პირდაპირ მარკეტინგად არ მიიჩნევა და კლიენტი არ იქნება უფლებამოსილი eMoney-ს მოსთხოვოს სხვადასხვა სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა, თუ აღნიშნული სარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები კლიენტს მიეწოდება უშუალოდ eMoney-ს მომსახურების წერტილებში (მაგ. სარეკლამო ბანერი, ფლაერი, ზეპირი შეთავაზება და სხვა) ან eMoney-ს კუთვნილ (eMoney-სთან ასოცირებულ) ელექტრონულ არხებში (მათ შორის ვებგვერდი, მობილური აპლიკაცია, ბანკომატი, ინტერნეტ ბანკი, მობილ ბანკი და სხვა).

19.14 ვიდეოთვალთვალი და აუდიო ჩაწერა. უსაფრთხოების, საკუთრებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, ასევე მომსახურების ხარისხის კონტროლის უზრუნველსაყოფად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, eMoney-ში მიმდინარეობს შენობ(ებ)ის გარე პერიმეტრისა და შესასვლელ(ებ)ის, სამუშაო ადგილ(ებ)ის მონიტორინგი ვიდეოთვალთვალისა და აუდიო ჩამწერი სისტემ(ებ)ის მეშვეობით, ასევე ვიდეოთვალთვალი ხორციელდება ბანკომატის ან სხვა ელექტრონული მოწყობილობების საშუალებით, ხოლო აუდიო ჩაწერა მიმდინარეობს eMoney-სთან სატელეფონო კომუნიკაციისას.

19.15 eMoney-ს მომსახურების წერტილებში, აგრეთვე eMoney-სთან კომუნიკაციისას ვიდეოთვალთვალისა და აუდიო ჩაწერის მიმდინარეობის შესახებ კლიენტი ინფორმირებული იქნება შესაბამისი ფორმით. კლიენტი, აცნობიერებს რა ვიდეოთვალთვალის და აუდიო ჩაწერის აუცილებლობას, თანხმობას გამოთქვამს აღნიშნული მონაცემების დამუშავებაზე.

19.16 საავტორო უფლებები. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ მის მიერ eMoney-ს ვებ-გვერდზე, მობილურ აპლიკაციებსა და სხვა ელექტრონულ არხებში განთავსებული კლიენტის მონაცემები (ბეჭდვითი, აუდიო ან/და ვიზუალური) თუ ის არ განეკუთვნება კლიენტის პერსონალურ მონაცემებს ჩაითვლება eMoney-ს საკუთრებად და eMoney აღნიშნული მონაცემების განთავსებისთანავე სრულად მოიპოვებს მათზე საავტორო ქონებრივ უფლებებს.

19.17 მონაცემების განახლება. დამუშავების და შენახვის ვადა. თითოეული მხარე ვალდებულია, როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნოს ან/და მესამე პირ(ებ)ს არ გადასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია.

19.18 ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ასევე მისი შეწყვეტის შემდგომ, eMoney-ს მიერ წინამდებარე თავში აღნიშნული ინფორმაციის ამ თავით განსაზღვრული მიზნებით დამუშავება (მათ შორის მონაცემების სისპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის, სს „კრედიტინფო საქართველოსთვის“ და წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი სხვა მესამე პირებისთვის, გადაცემა ან/და აღნიშნული მონაცემების მათგან მიღება) გაგრძელდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება eMoney-ს მიზნებს და ინტერესებს, მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

19.19 იმ მონაცემების დამუშავება, რომელიც კლიენტის მიერ eMoney-ს მიეწოდა ელექტრონული არხების (ვებ-ბრაუზერი, eMoney-ს ვებ-გვერდი, eMoney-ს მობილური აპლიკაციები ან/და სხვა მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალებები) საშუალებით, არ წყდება კლიენტის მიერ ამ მონაცემების ელექტრონული არხებიდან წაშლის შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემების შენახვა ასევე მოხდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება eMoney-ს მიზნებს და ინტერესებს, მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

19.20 კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, eMoney კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში, მიაწვდის კლიენტს მის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით eMoney-ში არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე eMoney უფლებამოსილია დააწესოს მომსახურების საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის უსასყიდლოდ მიწოდების ვალდებულება გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

19.21 თუ კლიენტი თვლის, რომ კლიენტის შესახებ eMoney-ში არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს eMoney-ს აღნიშნულის შესახებ.

19.22 თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, კლიენტი არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს eMoney-ს მის შესახებ eMoney-ში დაცული პერსონალური მონაცემების წაშლა.

## 20 პასუხისმგებლობა

20.1 არაავტორიზებული გადახდის, ან eMoney-ს შეცდომის გამო არარასწორი გადახდის შემთხვევაში, eMoney მზად არის თქვენი მოთხოვნისთანავე აგინაზღაუროთ არასწორად განხორციელებული ტრანზაქციის ღირებულება ჩამოჭრილი საკომისიოების ჩათვლით. აღნიშნული პირობა არ მოქმედებს:

20.2 როდესაც არაავტორიზებული გადახდა მოხდა თქვენს მიერ ანგარიშის დეტალების უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების დარღვევის შედეგად, როგორც ეს მე-8 მუხლშია აღწერილი. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა პირველი 10,000 (ან შესაბამისი თანხა თქვენი eMoney ანგარიშის ვალუტაში) ლარისთვის დაგვეკისრებათ თქვენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოქმედებს 16.1.3 პუნქტი;

20.3 იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ უზრუნველყოფთ, დროულად შეგატყობინოთ პაროლის დაკარგვის ან ნებისმიერი სხვა მოვლენის შესახებ, რომელსაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს თქვენი eMoney ანგარიშის უსაფრთხოებაზე მას შემდეგ რაც თქვენ შეიტყობთ აღნიშნული ფაქტის დადგომის შესახებ, რა შემთხვევაშიც შეტყობინების მომენტამდე დამდგარ ზარალზე პასუხისმგებლობა დაგვეკისრებათ თქვენ.

20.4 იმ შემთხვევაში, როდესაც განხორციელდა არაავტორიზებული ტრანზაქცია თქვენს მიერ eMoney ანგარიშის უსაფრთხოების დეტალების განზრახ ან გაუფრთხილებლობის საფუძველზე გაცემის შედეგად, რა შემთხვევაშიც ყველანაირ ზარალზე პასუხისმგებლობა დაგვეკისრებათ მხოლოდ თქვენ; ან

როდესაც თქვენ არ უზრუნველყოფთ სადავოდ გახადოთ და შეატყობინოთ eMoney-ს არასწორი ან არაავტორიზებული ტრანზაქციის შესახებ მისი განხორციელებიდან 1 თვის განმავლობაში.

20.5. ზემოაღნიშნული დებულებების შინაარსის გათვალისწინებით, თქვენ ვალდებული ხართ თქვენს eMoney-ს ანგარიშზე რეგულარულად განახორციელოთ ტრანზაქციების ისტორიის შემოწმება და რაიმე შეკითხვის ან ეჭვის არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართოთ კლიენტთა მომსახურების ცენტრს.

20.6. ნებისმიერი მცდარი ან არასწორად მიმართული ტრანზაქციის განხორციელების შემთხვევაში, eMoney თქვენს დასახმარებლად მიიღებს გონივრულ ზომებს, რათა გამოკვლულ იქნეს ტრანზაქციის დეტალები და ტრანზაქციის შესაბამისი თანხა უკან დაგიბრუნდეთ.

20.7. ზემოაღნიშნული დებულებების შინაარსის გათვალისწინებით, ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ჩვენი ან იმ შუამავალი პირის მომსახურების ხარვეზებზე ან დაზიანებებზე, რომელსაც ჩვენ ვეყრდნობით ჩვენი ვალდებულებების შესრულებისას, იმ პირობით, რომ აღნიშნული ხარვეზი ან დაზიანება გამოწვეულია ჩვენი ან შესაბამისი შუამავალი პირის კონტროლს მიღმა მყოფი გაუთვალისწინებელი გარემოებებით.

20.8. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას არაპირდაპირ ან შედეგობრივ ზიანზე, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს მიუღებელ შემოსავალს, ბიზნესის დანაკარგს და რეპუტაციისათვის მიყენებულ ზიანს. ჩვენ ასევე პასუხს არ ვაგებთ არანაირ დანაკლისზე, რომელიც გამომდინარეობს ჩვენს მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად განხორციელებული ქმედებებიდან.

20.9. წინამდებარე მომსახურების პირობების არცერთი დებულება არ გამორიცხავს პასუხისმგებლობას თაღლითური ქმედების ან თაღლითური ინტერპრეტაციისთვის, ასევე კანონიდან გამომდინარე პასუხისმგებლობას, რომელიც არ შეიძლება გამოირიცხოს ან შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

20.10. წინამდებარე მომსახურების პირობების მიხედვით, ჩვენი მოვალეობა გამოიხატება თქვენს უზრუნველყოფაში ელექტრონული ფულის ანგარიშით და მასთან დაკავშირებული გადახდის მომსახურებით. ჩვენ არ ვაკეთებთ განცხადებას და არ ვადასტურებთ ჩვენი მომხმარებლის მიერ მოწოდებული საქონლისა და მომსახურების ხარისხს, უსაფრთხოებასა და კანონიერებას.

20.11. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას არანაირი გადასახადის, ვალდებულების, ან გადასახდელის განსაზღვრასა და გადახდაზე, რომელიც გამომდინარეობს თქვენსა და eMoney-ს სხვა მომხმარებელს შორის არსებული გარიგებიდან.

20.12. ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას თქვენი პერსონალური კომპიუტერის, ტელეფონის აპარატის, ან/და სხვა მოწყობილობის (მისი ცალკეული ნაწილებისა ან/და დანამატების), პროგრამის ან/და სხვა ნებისმიერი სახის ელექტრონული ან ციფრული საშუალებების გამართულ მუშაობაზე, რომელიც ჩვენს მიერ იქნა მოწოდებული.

## 21. შეწყვეტა და შეჩერება

21.1. ჩვენ უფლება გვაქვს შევწყვიტოთ თქვენი eMoney ანგარიშის მოქმედება ან მასთან დაკავშირებული გადახდის ნებისმიერი მომსახურება, შეწყვეტამდე ორი კვირით ადრე თქვენთვის შეტყობინების პირობით. თქვენ უფლება გაქვთ შეწყვიტოთ თქვენი ანგარიშის მოქმედება ნებისმიერ დროს. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ხართ PAY Gateway მერჩანტის ანგარიშის მფლობელი, PAY Gateway მერჩანტის ხელშეკრულებითა და მომსახურების პირობებით (ხელმისაწვდომია [www.pay.ge](http://www.pay.ge) საიტზე) შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს eMoney ანგარიშის მოქმედების შეწყვეტის განსხვავებული პირობები.

- 21.2. ანგარიშის მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეტყობინებასთან ერთად, ან მის შემდეგ ნებისმიერ დროს, ჩვენ შეგვიძლია გაგიწიოთ დახმარება თქვენს eMoney ანგარიშზე არსებული ნაშთის განადგობასთან დაკავშირებით.
- 21.3. იმ შემთხვევაში, თუ თქვენს ანგარიშზე მოქმედებს რეზერვი, თქვენი ანგარიშის შეწყვეტა გავლენას არ იქონიებს ჩვენს უფლებაზე მოვახდინოთ რეზერვის თანხის დაბლოკვა და შესაბამისად თანხების ჩამოჭრა შეთანხმებული ვადის განმავლობაში.
- 21.4. ჩვენ უფლება გვაქვს ნებისმიერ დროს შევწყვიტოთ ან შევაჩეროთ თქვენი eMoney ანგარიშის მოქმედება წინასწარი შეტყობინების გარეშე, იმ შემთხვევაში, თუ:
  - 21.4.1. თქვენ დაარღვევთ წინამდებარე მომსახურების პირობების ნებისმიერ დებულებას, ან ნებისმიერ სხვა დებულებას, რომელიც გათვალისწინებულია ცალკე მომსახურების პირობებით და არეგულირებს ცალკეულ მომსახურებებს;
  - 21.4.2. თქვენ დაარღვევთ, ან ჩვენ გვაქვს გონივრული საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ თქვენ დაარღვიეთ ნებისმიერი კანონი ან ინსტრუქცია რომელიც აწესრიგებს თქვენს მიერ eMoney ანგარიშის გამოყენებას;
  - 21.4.3. ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ თქვენ რაიმე ხერხით ჩართული ხართ თაღლითურ ქმედებაში, ფულის გათეთრებაში, ტერორიზმის დაფინანსებაში ან სხვა დანაშაულებრივ ქმედებაში.
- 21.5. ჩვენ უფლება გვაქვს შევაჩეროთ თქვენი ანგარიშის მოქმედება ნებისმიერ დროს, თუ:
  - 21.5.1. ჩვენ გვაქვს გონივრული საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ თქვენი eMoney ანგარიშით სარგებლობს სხვა პირი, ასევე უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე სხვა საფუძველით; ან
  - 21.5.2. ჩვენ გვაქვს გონივრული ეჭვი, რომ თქვენი eMoney ანგარიში გამოყენებულ იქნა, ან ამჟამად გამოიყენება თქვენი ნებართვის გარეშე, ან თაღლითური გზით; ასეთ შემთხვევაში ჩვენ შეგატყობინებთ ამის შესახებ ანგარიშის მოქმედების შეჩერებამდე, ან როდესაც მოცემულ გარემოებებში ეს შეუძლებელია, უმაღლეს ანგარიშის მოქმედების შეჩერებიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონმდებლობა გვიკრძალებს თქვენთვის შეტყობინებას.

## **22. წინამდებარე მომსახურების პირობებში ცვლილებების შეტანა**

- 22.1. წინამდებარე მომსახურების პირობები და ნებისმიერი სხვა დამატებითი პირობები, რომელიც ვრცელდება დამატებით მომსახურებაზე, შესაძლებელია დაექვემდებაროს ცვლილებებს. ცვლილებები განხორციელდებულ იქნება eMoney-ს მხრიდან წინასწარი შეტყობინების გარეშე.
- 22.2. eMoney-ს მიერ მოხდება გადასახდელების (საკომისიოების) ნაწილის განახლება როგორც ვებგვერდზე, ისე წინამდებარე მომსახურების პირობებში, როგორც კი აღნიშნული ცვლილებები ძალაში შევა.
- 22.3. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ აღნიშნულ ცვლილებებზე გამოთქვამთ საწინააღმდეგო მოსაზრებას, ნებისმიერი ასეთი საწინააღმდეგო ხასიათის შეტყობინება განიხილება როგორც შეტყობინება თქვენი eMoney ანგარიშის მოქმედების შეწყვეტისა და მისი დახურვის შესახებ.

## **23. კომუნიკაციის წესი**

- 23.1. როგორც წესი, ჩვენ კომუნიკაციას ვახდენთ ელექტრონული ფოსტის საშუალებით. აქედან გამომდინარე, თქვენ ვალდებული ხართ, თქვენი ანგარიშის პარამეტრებში იქონიოთ მინიმუმ ერთი მოქმედი ელექტრონული ფოსტის მისამართი. თქვენ მოგეთხოვებათ ხშირად და რეგულარულად შეამოწმოთ შემოსული შეტყობინებები. ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიღებული შეტყობინებები შესაძლოა შეიცავდეს ლინკს (ბმულს) ვებგვერდზე კომუნიკაციის დამატებითი საშუალების მითითებით.
- 23.2. იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენ, კანონმდებლობის საფუძველზე, ვალდებული ვართ მოვაწოდოთ ინფორმაცია მყარი საშუალების გამოყენებით, ჩვენ გამოგიგზავნით შეტყობინებას ელექტრონულ ფოსტაზე (დანართით, ან მის გარეშე), ან შეგატყობინებთ ჩვენს ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ამოსაბეჭდ ფორმატში ან რაიმე სხვა ფორმატში, რომელიც თქვენ შესაძლებლობას მოგცემთ, შეინახოთ და მომავალში მუდმივად გამოიყენოთ. თქვენ ვალდებული ხართ შეინახოთ ყოველი შეტყობინება, რომელიც ჩვენს მიერ უშუალოდ გამოგიგზავნათ, ან სხვა გზით გახდა თქვენთვის ხელმისაწვდომი.
- 23.3. თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ წინამდებარე მომსახურების პირობების ეგზემპლარი, ასევე თქვენთვის საჭირო ნებისმიერი სხვა სახელშეკრულებო დოკუმენტი, რისთვისაც უნდა მიმართოთ კლიენტთა მომსახურების ცენტრს.
- 23.4. იმისათვის, რომ თქვენ შეძლოთ ჩვენს მიერ ელექტრონული ფოსტის საშუალებით გამოგზავნილი შეტყობინებების წაკითხვა, თქვენ გესაჭიროებათ კომპიუტერი და ელექტრონული ფოსტის პროგრამა, რომელსაც შეუძლია მიღებული შეტყობინების ჩვენება HTML ფორმატისთ. ჩვენ უფლება გვაქვს გამოგიგზავნოთ დანართები PDF ფორმატში, რომლის

წასაკითხად თქვენ დაგჭირდებათ შესაბამისი პროგრამა (Adobe Systems Inc.'s Portable Document Format), რომლის უფასოდ გადმოწერაც შესაძლებელია ვებგვერდიდან [www.adobe.com](http://www.adobe.com).

23.5. ჩვენ არასოდეს გამოვიგზავნით შეტყობინებას ისეთი დანართით, რომელიც ამ დოკუმენტში რაიმე ცვლილების (executable files) განხორციელების საშუალებას იძლევა, ან ისეთი ლინკის შემცველ შეტყობინებას, რომელიც დაგაკავშირებთ ასეთი ფორმატის დოკუმენტთან. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მიიღებთ აღნიშნული ფორმატით შედგენილი დანართის შემცველ შეტყობინებას, თქვენ უფლება გაქვთ დანართის შინაარსის შემოწმების გარეშე წაშალოთ აღნიშნული შეტყობინება. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გაქვთ ეჭვი, იმასთან დაკავშირებით, ჩვენგან მომდინარეობს თუ არა კონკრეტული კომუნიკაცია, გთხოვთ დაუკავშირდეთ კლიენტთა მომსახურების ცენტრს.

23.6. ჩვენი კომუნიკაციის ენა იქნება ქართული ან ინგლისური და ჩვენ ყოველთვის მივიღებთ თქვენს მიერ ქართულ ენაზე გამოგზავნილ შეტყობინებებს. თქვენ უფლება გაქვთ აირჩიოთ თქვენთვის სასურველი ენა (თუ იგი ხელმისაწვდომია) თქვენი ანგარიშის პარამეტრებში მითითებული ჩამონათვალიდან და ჩვენს მიერ წინამდებარე მომსახურების პირობებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებული ავტომატური შეტყობინებებისა და კომუნიკაციების გამოგზავნა მოხდება აღნიშნულ ენაზე (შესაძლებლობის შემთხვევაში). რაც შეეხება არასტანდარტულ შეტყობინებებს, ჩვენ უფლება გვაქვს, ამ შემთხვევაში კომუნიკაციის ენად გამოვიყენოთ ქართული ენა. ნებისმიერი უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტი ან განხორციელებული კომუნიკაცია არის მხოლოდ მეტი მოხერხებულობისთვის განკუთვნილი და არ გვაკისრებს ვალდებულებას, შემდგომი კომუნიკაცია გავაგრძელოთ იმავე ენაზე.

23.7. გარდა ელექტრონული ფოსტის საშუალებით განხორციელებული კომუნიკაციისა, ჩვენ უფლება გვაქვს საჭიროების შემთხვევაში კომუნიკაციის საშუალებად გამოვიყენოთ წერილი ან ტელეფონი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ იყენებთ მობილური კავშირგაბმულობის მომსახურებას და/ან სოციალურ ქსელს, ჩვენ უფლება გვაქვს კომუნიკაცია განვახორციელოთ მოკლე ტექსტური შეტყობინების, ვეისბუქის, სკაიპის, ტვიტერის და/ან კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე კომუნიკაციის სხვა საშუალებით.

23.8. თქვენ უფლება გაქვთ, ნებისმიერ დროს დაამყაროთ ჩვენთან კონტაქტი ჩვენს ვებგვერდზე არსებული E-Mail Support“-ის გამოყენებით, კლიენტთა მომსახურების ცენტრისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით, ან ელექტრონული წერილის გაგზავნით შემდეგ მისამართზე [support@emoney.ge](mailto:support@emoney.ge).

## 24. პრეტენზიები

24.1. ნებისმიერი სახის პრეტენზია, რაც უკავშირდება eMoney-ს ან ჩვენს მიერ შემოთავაზებულ მომსახურებას, თავდაპირველად განსახილველად წარმოდგენილ უნდა იქნეს კლიენტთა მომსახურების ცენტრში. თქვენ ვალდებული ხართ გარკვევით მიუთითოთ, რომ სურვილი გაქვთ, მოგმართოთ პრეტენზიით. აღნიშნული ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს, ერთმანეთისაგან განვასხვაოთ პრეტენზია და უბრალო შეკითხვა. ჩვენ დაგიდასტურებთ პრეტენზიის მიღებას 10 სამუშაო დღის განმავლობაში. თქვენ უფლება გაქვთ ნებისმიერ დროს მოითხოვოთ პრეტენზიებისთვის დადგენილი პროცედურის ეგზემპლარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

## 25. გარდამავალი დებულებები

25.1. თქვენი eMoney ანგარიში განკუთვნილია თქვენი პირადი სარგებლობისთვის და წინამდებარე მომსახურების პირობების მიხედვით, თქვენ უფლება არ გაქვთ კუთვნილი უფლებები გადასცეთ მესამე პირებს.

25.2. ჩვენ ვაცხადებთ, რომ წინამდებარე მომსახურების პირობებში წარმოდგენილი გარკვეული მომსახურებები შესაძლოა არ იყოს ხელმისაწვდომი გარკვეულ მომენტში, რაც განეკუთვნება ჩვენს დისკრეციულ უფლებამოსილებას და შესაბამისად, ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება აღნიშნული მომსახურების მიწოდება, ან მოხდება მისი ნაწილობრივ მიწოდება.

25.3. თქვენი eMoney ანგარიშის მართვა ხდება საქართველოში და წინამდებარე მომსახურების პირობები ექვემდებარება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ნებისმიერი სახის დავა რომელიც გამომდინარეობს აღნიშნული მომსახურების პირობებიდან, ან სხვაგვარად უკავშირდება თქვენს eMoney ანგარიშს, მიმართულ იქნება ექსკლუზიურად საქართველოს სასამართლოებში.

25.4. იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე მომსახურების პირობების რომელიმე ნაწილი შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპეტენტური სასამართლოს მიერ აღიარებულ იქნება ძალადაკარგულად, უკანონოდ, ან ისეთად, რომლის აღსრულებაც ვერ ხორციელდება, აღნიშნულ ნაწილი განიხილება, როგორც მომსახურების პირობების დანარჩენი დებულებებისგან განცალკევებული, ხოლო დანარჩენი დებულებები განაგრძობს სრულად მოქმედებას კანონით ნებადართულ ფარგლებში.



25.5. წინამდებარე პირობებზე თანხმობის გაცხადებით თქვენ უპირობოდ აცხადებთ თანხმობას მასზედ, რომ ჩვენ, ნებისმიერ დროს შეგვიძლია დავუთმოდ, გავყიდოთ ან გადავცეთ წინამდებარე პირობებით განსაზღვრული უფლებები, მოვალეობები და სარგებელი სხვა მესამე პირს თქვენი წინასწარი შეტყობინების გარეშე.

25.6. წინამდებარე პირობებში აღნიშნული სათაურები გამოიყენება მხოლოდ მოხერხებულობისთვის და არ აქვს ზეგავლენა პირობების განმარტებასა და ინტერპრეტაციაზე.

25.7. ჩვენს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, თქვენ ვალდებული ხართ მოგვაწოდოთ ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია და ასევე წარმოადგინოთ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც ჩვენ მოვითხოვთ ან განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

## 26. ტერმინთა განმარტებანი

წინამდებარე მომსახურების პირობებში გარკვეულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

„**ბანკი**“ ან „**ლიბერთი ბანკი**“ აღნიშნავს სააქციო საზოგადოება ლიბერთი ბანკს, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილ კორპორაციას, რომლის საიდენტიფიკაციო კოდია 203828304, იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ი. ჭაჭავაძის გამზირი #74, 0162, „ლიბერთი თაური“ და რომლის საქმიანობა დარეგულირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მერ;

„**კლიენტთა მომსახურების ცენტრი**“ აღნიშნავს eMoney-ს კლიენტთა მომსახურების პუნქტს, რომელთან დაკავშირებაც თქვენ შეგიძლიათ ელექტრონული წერილის გაგზავნით შემდეგ მისამართზე: **support@emoney.ge**;

„**eMoney ანგარიში**“, ან „**ანგარიში**“ აღნიშნავს ელექტრონული ფულის ანგარიშს, რომლის გახსნა და სარგებლობა ხორციელდება თქვენს მიერ eMoney-ს ვებ-გვერდის საშუალებით;

„**eMoney-ს ვებ-გვერდი**“ ან „**ვებ-გვერდი**“ ნიშნავს ვებ-გვერდს [www.eMoney.ge](http://www.eMoney.ge);

„**ვერო**“ აღნიშნავს ვეროპის კავშირის წევრი ზოგიერთი ქვეყნის კანონიერ ვალუტას;

„**ლარი**“ აღნიშნავს საქართველოს ეროვნულ ვალუტას;

„**აშშ დოლარი**“ აღნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების კანონიერ ვალუტას;

„**Pay**“ ან „**Pay ანგარიში**“ აღნიშნავს საბანკო ანგარიშს (და მის ნებისმიერ ქვეანგარიშს), რომელიც დაკავშირებულია ბანკის მიერ გაცემულ ადგილობრივ, და/ან საერთაშორისო საბანკო ბარათთან. დეტალებისთვის იხლეთ [www.smartivi.ge](http://www.smartivi.ge), [www.libertybank.ge](http://www.libertybank.ge) ან/და [www.fortuna.emoney.ge](http://www.fortuna.emoney.ge);

**ავტომატური შევსება** - წინასწარ განსაზღვრული პირობებით ან/და პერიოდულობით შესრულებული მრავალჯერადი ტრანზაქცია, რომელიც წარმოადგენს შეთანხმებას თქვენს და ჩვენს შორის და რომელიც იძლევა თქვენს eMoney ანგარიშზე თანხების ავტომატურად შევსების შესაძლებლობას;

„**ჩვენ**“, „**ჩვენი**“ აღნიშნავს eMoney-ს;

„**თქვენ**“, „**თქვენი**“ აღნიშნავს ფიზიკურ პირს, ვისი სახელითაც გახსნილია და ვინც სარგებლობს eMoney ანგარიშით;

„**კლიენტი**“ აღნიშნავს ფიზიკურ პირს, ვისი სახელითაც გახსნილია და ვინც სარგებლობს eMoney ანგარიშით;

**eMoney ანგარიშის მომსახურების პირობების დანართი #1**  
**გადასახდლები და საკომისიოები**  
**06.04.2016**

<b>eMoney ანგარიშის შევსება</b>	<b>საკომისიო</b>	<b>მინიმალური თანხა</b>	<b>მაქსიმალური თანხა</b>
"ლიბერთი ბანკის" სერვის ცენტრებში	0.00%	0.01 ლარი	500.00 ლარი
მომხმარებლის Sმარტივის ანგარიშიდან	0.00%	0.01 ლარი	1500.00 ლარი
მომხმარებლის Sმარტივის ანგარიშიდან ავტომატური შევსება	0.00%	0.01 ლარი	100.00 ლარი
კორ სტანდარტ ბანკის ფილიალებიდან	0.00%	0.01 ლარი	1500.00 ლარი
მომენტალური გადახდის აპარატი TBCPay	0.00%	0.01 ლარი	1500.00 ლარი
მომენტალური გადახდის აპარატი Nova	0.00%	0.01 ლარი	1500.00 ლარი
მომენტალური გადახდის აპარატი IPS	0.50%	0.01 ლარი	1500.00 ლარი
მომენტალური გადახდის აპარატი ExpressPay	1.00%	0.01 ლარი	1500.00 ლარი
ქართული ბანკების VISA/MasterCard ბარათიდან			
არარეგისტრირებული ბარათებით	2.50%, მინ. 0.10 ლარი	0.50 ლარი 1.00 აშშ დოლარი	30.00 ლარი / 24 სთ.
რეგისტრირებული ბარათებით CVV2-ის გამოყენებით	2.50%, მინ. 0.10 ლარი	0.50 ლარი 1.00 აშშ დოლარი	1000.00 ლარი / 24 სთ. 500.00 აშშ დოლარი / 24 სთ.
რეგისტრირებული ბარათებით CVV2-ის გარეშე	2.50%, მინ. 0.10 ლარი	1.00 ლარი 1.00 აშშ დოლარი	200.00 ლარი / 24 სთ. 100.00 აშშ დოლარი / 24 სთ.
ავტოშევსება	2.50%, მინ. 0.10 ლარი	1.00 ლარი 1.00 აშშ დოლარი	200.00 ლარი / 24 სთ. 150.00 აშშ დოლარი / 24 სთ.
უცხოური ბანკების VISA/MasterCard ბარათიდან			
რეგისტრირებული ბარათებით CVV2-ის გამოყენებით	2.50%, მინ. 0.10 ლარი	0.01 ლარი 1.00 აშშ დოლარი	500.00 ლარი / 24 სთ. 300.00 აშშ დოლარი / 24 სთ.
რეგისტრირებული ბარათებით CVV2-ის გარეშე	2.50%, მინ. 0.10 ლარი	0.01 ლარი 1.00 აშშ დოლარი	300.00 ლარი / 24 სთ. 200.00 აშშ დოლარი / 24 სთ.
ავტოშევსება	2.50%, მინ. 0.10 ლარი	0.01 ლარი 1.00 აშშ დოლარი	150.00 ლარი / 24 სთ. 100.00 აშშ დოლარი / 24 სთ.
ონლაინ ტოტალიზატორებიდან	0.00%	0.01 ლარი	500.00 ლარი

<b>თანხის გამოტანა eMoney-ის ანგარიშიდან</b>	<b>საკომისიო</b>	<b>მინიმალური თანხა</b>	<b>მაქსიმალური თანხა</b>
განადდება ლიბერთი ბანკის ფილიალებსა და სერვის ცენტრებში	3.00%	0.01 ლარი	500.00 ლარი / 24 სთ.
მომხმარებლის Sმარტივი ანგარიშზე	0.00%	0.01 ლარი	2000.00 ლარი
მომხმარებლის eMoney VISA ვირტუალურ ბარათზე	0.00%	1.00 აშშ დოლარი	500.00 აშშ დოლარი
ლიბერთი ბანკის ბანკომატებიდან, მინ. 0.5 ლარი	1.50%	5.00 ლარი	500.00 ლარი / 24 სთ.

<b>eMoney-ის ანგარიშის გამოყენების საკომისიოები</b>	<b>საკომისიო</b>	<b>მინიმალური თანხა</b>	<b>მაქსიმალური თანხა</b>
ანგარიშიდან ანგარიშზე გადარიცხვა (იხდის გამგზავნი)	1.00%	0.01 ლარი	1000.00 ლარი
SMS შეტყობინების სერვისი	0.10 ლარი ყოველ SMS-ზე		

PAY მერჩანტის არხის საშუალებით eMoney P2P გზავნილი

**თანხის გაგზავნა**

გადასარიცხი თანხის მოცულობა	მომხმარებლის მიერ გადასახადი ტარიფი (ლარი )
0.00 – 50.00	2
50.01 – 100.00	2
100.01 – 200.00	2
200.01 – 300.00	3
300.01 – 400.00	3
400.01 – 500.00	4
500.01 - 1,000.00	5
1,000.01 - 1,500.00	8
1,500.01 - 2,000.00	12
2,000.01 - 2,500.00	14
2,500.01 - 5,000.00	20
5,000.00-ის ზევით	გადასარიცხი თანხის 0.5%

**გზავნილის განადგება**

გადასარიცხი თანხის მოცულობა	მომხმარებლის მიერ გადასახადი ტარიფი (ლარი )
0.00 – 50.00	0
50.01 – 100.00	0
100.01 – 200.00	0
200.01 – 300.00	0
300.01 – 400.00	0
400.01 – 500.00	0
500.01 - 1,000.00	0
1,000.01 - 1,500.00	0
1,500.01 - 2,000.00	0
2,000.01 - 2,500.00	0
2,500.01 - 5,000.00	0
5,000.00-ის ზევით	0

დანართი №2 - ინფორმაციის მოპოვება/გადაცემა მესამე პირებისგან/პირებისათვის

<p>1.</p>	<p>eMoney მკაცრად იცავს კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების, კონფიდენციალურობას, თუმცა ჩვენ (eMoney და მასთან დაკავშირებული კომპანიები) უფლებამოსილი ვართ მოვახდინოთ მისი ქვემოთმოცემული მესამე პირ(ებ)ისათვის (შემდგომში - მესამე პირები) გამჟღავნება ან ამავე მესამე პირ(ებ)ისგან თქვენ შესახებ არსებული ინფორმაციის მოპოვება თუ (ა) ეს აუცილებელია მომსახურების ჯეროვნად შესრულებისათვის, (ბ) განსაზღვრულია კანონმდებლობით ან/და (გ) ემსახურება ჩვენს ლეგიტიმურ კომერციულ მიზანს:</p>	<p>მონაცემების გადაცემა ან მოპოვება ხორციელდება:</p>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• eMoney-ს პარტნიორი კომპანიები, რომელთან ერთადაც eMoney კომერციული კუთხით თანამშრომლობს, მათ შორის და არამარტო:             <ul style="list-style-type: none"> <li>- სს „ლიბერთი ბანკი“ (ს/კ 203828304);</li> <li>- სს „იზიმანი“ (ს/კ 405042396)</li> <li>- სს „იკაპიტალი“ (ს/კ 404981338);</li> <li>- შპს „მანი მუვერს“ (ს/კ 200274318);</li> <li>- შპს „ეფ ექს ჯი“ (ს/კ 405088890);</li> </ul> </li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მომსახურების ჯეროვნად შესრულების მიზნით;</li> <li>• კლიენტებისათვის (ანუ თქვენთვის) eMoney-ს ან/და მესამე პირის მიერ მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით;</li> <li>• კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნით (მაგალითად კლიენტის იდენტიფიკაცია);</li> <li>• სხვა ლეგიტიმური კომერციული მიზნით რომელიც შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან.</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• საზედამხედველო, მაკონტროლებელ ან/და სარეგისტრაციო ორგანოებს, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და მათ მიერ შექმნილ იურიდიულ პირებს, როგორცაა, მათ შორის და არამარტო:             <ul style="list-style-type: none"> <li>- საქართველოს ეროვნული ბანკი;</li> <li>- სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური;</li> <li>- სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;</li> <li>- სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;</li> <li>- სსიპ შემოსავლების სამსახური და სხვა საგადასახადო ორგანოები;</li> <li>- სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო;</li> <li>- სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო;</li> </ul> </li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მომსახურების ჯეროვნად შესრულების მიზნით;</li> <li>• კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნით (მაგალითად კლიენტის იდენტიფიკაცია);</li> <li>• სხვა ლეგიტიმური კომერციული მიზნით რომელიც შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან.</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• საკრედიტო ბიუროებს ან/და კოლექტორულ ორგანიზაციებს, როგორცაა, მათ შორის და არამარტო:             <ul style="list-style-type: none"> <li>- სს „კრედიტინფო საქართველოსთან“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204470740) ან/და სხვა მსგავსი საქმიანობის მქონე სუბიექტი;</li> <li>- შპს „პრობლემური აქტივების მართვის სააგენტო“ (ს/კ 402008554), შპს „კაპიტალი“ (ს/კ 405094491) და სხვადასხვა პრობლემური აქტივების მართვის და კოლექტორული ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ პრობლემური მოთხოვნებიდან გამომდინარე გადახდების შესრულებას ან/და აღნიშნული პრობლემური მოთხოვნების შექმნას (ცესია).</li> </ul> </li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მომსახურების ჯეროვნად შესრულების მიზნით;</li> <li>• კლიენტებისათვის (ანუ თქვენთვის) eMoney-ს ან/და მესამე პირის მიერ მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით;</li> <li>• კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნით (მაგალითად კლიენტის იდენტიფიკაცია);</li> <li>• სხვა ლეგიტიმური კომერციული მიზნით რომელიც შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან.</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• საერთაშორისო და ადგილობრივ საგადახდო მომსახურების ოპერატორებს, როგორცაა, მათ შორის და არამარტო:             <ul style="list-style-type: none"> <li>- საერთაშორისო საგადახდო სისტემის ოპერატორი VISA Inc;</li> <li>- საერთაშორისო საგადახდო სისტემის ოპერატორი MASTERCARD Incorporated;</li> <li>- საერთაშორისო საგადახდო სისტემის ოპერატორი UnionPay;</li> <li>- H2H (პირდაპირი ჰოსტინგი, როდესაც საგადახდო პროვაიდერებს შორის ანგარიშსწორება ან ინფორმაციის გაცემა ხორციელდება საერთაშორისო საგადახდო სისტემების მონაწილეობის გარეშე) მონაწილე საპროცესინგო კომპანიები ან/და კომერციული ბანკები (მაგ. UFC, სს „თიბისი ბანკი“ და UFC-ში მონაწილე სხვა კომერციული ბანკები, სს „პროკრედიტ ბანკი“, სს „ბანკი ქართუ“ და სხვა);</li> <li>- საგადახდო მომსახურების პროვაიდერები (გარდა კომერციული ბანკებისა, მაგალითად სს „ნოვა ტექნოლოჯი“, შპს „თიბისი ფი“, შპს „მანი მუვერს“, სს „გაერთიანებული კლირინგ ცენტრი“ და სხვა) ან/და მათი კონტრაქტორები (აღნიშნული პირები იყენებენ საგადახდო მომსახურების პროვაიდერების სერვისს და ამ სერვისის შესრულება ხორციელდება ბანკის მონაწილეობით, ესენია მაგალითად სს „თელასი“, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ და სხვა);</li> <li>- საერთაშორისო და ადგილობრივი ფულადი გზავნილების ოპერატორები (მათ შორის და არამარტო The Western Union Company, MoneyGram International Inc., Zolotaya Korona და სხვა პირები, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია ბანკის ვებ-გვერდზე - <a href="http://www.eMoney.ge">www.eMoney.ge</a> - <a href="http://bit.ly/1ROvLd6">http://bit.ly/1ROvLd6</a>).</li> </ul> </li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მომსახურების ჯეროვნად შესრულების მიზნით (მათ შორის საგადახდო ოპერაციების განსახორციელებლად);</li> <li>• კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნით (მაგალითად კლიენტის იდენტიფიკაცია);</li> <li>• სხვა ლეგიტიმური კომერციული მიზნით რომელიც შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან.</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• eMoney-ს კონტრაქტორები ან/და მერჩანტები, რომლებიც იყენებენ eMoney-ს საგადახდო მომსახურებას საკუთარი კლიენტების (აბონენტების) გადასახდებების მისაღებად (ე.წ. ბილინგი), მათ შორის და</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მომსახურების ჯეროვნად შესრულების მიზნით (მათ შორის საგადახდო</li> </ul>



	<p>არამარტო: - შპს „ჯეოსელი“;</p> <p>- სს „სვუპი“;</p> <p>- შპს „სისი ლოუნ“ და სხვა პირები, რომლებიც მითითებულნი არიან eMoney-ს ადმინისტრირებად საგადახდო ვებ-გვერდზე - <a href="http://www.eMoney.ge">www.eMoney.ge</a>.</p>	<p>ოპერაციების განსახორციელებლად);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კლიენტებისათვის (ანუ თქვენთვის) eMoney-სა ან/და მესამე პირის მიერ მარკეტინგული შეთავაზებების განხორციელების მიზნით;</li> <li>• კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნით (მაგალითად კლიენტის იდენტიფიკაცია);</li> <li>• სხვა ლეგიტიმური კომერციული მიზნით რომელიც შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან.</li> </ul>
2.	<p>იმ შემთხვევაში თუ eMoney განახორციელებს მონაცემების მესამე პირებისათვის გადაცემას, მათ შორის ინფორმაციის სხვა ქვეყნის რეზიდენტი პირ(ებ)ისათვის გადაცემას, აღნიშნული ქმედების შესრულებისას მიღებული იქნება უსაფრთხოების ყველა ის გონივრული ზომა, რაც შესაბამისობაშია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან.</p>	
3.	<p>კლიენტისათვის ცნობილია და ეთანხმება, რომ აღნიშნულ დანართში და eMoney-ს ადმინისტრირებად ვებ-გვერდებზე (მათ შორის და არამარტო <a href="http://www.eMoney.ge">www.eMoney.ge</a>; <a href="http://www.eM.ge">www.eM.ge</a>, მობილური აპლიკაციები, MyCash მენიუ) მოცემული ჩამონათვალი არ არის სრული, ამომწურავი და დროდადრო მესამე პირების რაოდენობა შესაძლოა გაიზარდოს ან შემცირდეს, თუმცა მიუხედავად ამისა მონაცემების დამუშავების კუთხით eMoney-ს ქმედებები შესაბამისობაში იქნება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.</p>	

**დანართი №3 - საგადახდო დავალების მიღების და შესრულების ვადები**

- ქვემოთმოცემულ ცხრილში ასახულია დროის მონაკვეთები, როდესაც შესაძლებელია eMoney-ში საგადახდო დავალების მიღება, აგრეთვე წარდგენილი საგადახდო დავალების eMoney-ს მიერ შესრულებისთვის განსაზღვრული მაქსიმალური დრო;
- წინამდებარე დანართის მიზნებისთვის, სამუშაო დღედ ითვლება კვირის დღეები, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეებისა.
- არასამუშაო დღეებში ან/და წინამდებარე ცხრილით განსაზღვრული საათებისგან განსხვავებულ დროს შუალედში eMoney-სთვის წარდგენილი დავალება, eMoney-ს მიერ მიღებულად ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღეს.

საგადახდო დავალების eMoney-სთვის მიწოდების ფორმა	საოპერაციო საათები, როდესაც eMoney-ს მომსახურების არხები ფუნქციონირებს და ხელმისაწვდომია კლიენტისთვის	დროის შუალედი, როდესაც eMoney-სთვის წარდგენილი საგადახდო დავალება ჩაითვლება eMoney-ს მიერ მიღებულად	eMoney-ს მიერ დავალების მიღებიდან მის შესრულებამდე საჭირო მაქსიმალური დრო
eMoney-ს მომსახურების არხების (ვებგვერდი, MyCash USSD მენიუ, მობილური აპლიკაციები, eConnect და სხვა) მეშვეობით წარდგენილი დავალება:	ყოველდღე, უწყვეტად 24 საათიანი რეჟიმში	ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 10:00 სთ-დან 18:30 სთ-მდე;	<ul style="list-style-type: none"> <li>• თუ გადამხდელისთვის და მიმღებისთვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი არის eMoney, დავალება სრულდება დავალების მიღების დღეს.</li> <li>• თუ გადამხდელს და მიმღებს სხვადასხვა პროვაიდერი ემსახურება, დავალება სრულდება დავალების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;</li> <li>• თუ გადახდის ოპერაციის განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, eMoney ვალდებულია გადასცეს აღნიშნულ სისტემებს დავალება შესასრულებლად დავალების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.</li> </ul>